გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 61
(11 722)

12 - 14 აგვისტო, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომერში წაიკითხავთ:


- 6 ათას დოლარად აშშ-ში სპორტულ ჯგუფთან ერთად
- დავით დავითაია – ოსტატთა აღმზრდელი დიდოსტატი
- საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი. III ტური
- ევროპის საფეხბურთო ციებ-ცხელება
- ოქროსი იყოს და თუნდაც უნიტაზი იყოს...
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი






## ნომრიდან ნომრამდე

● **8 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკამ“** გამოაქვეყნა ღია წერილი საქართველოში აშშ-ის ელჩ რიჩარდ მაილსისადმი, რომელსაც ხელს აწერენ ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის გამოჩენილი მოღვაწენი.

„ჩვენი სამომავლო ურთიერთობა ახლა იწყება და... გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს, თუნდაც უნებლიე ანალოგია რუსულ-ქართული ურთიერთობათა იმ არასასიამოვნო და შეურაცხმყოფელ პრაქტიკასთან, როდესაც ქართველები მოსკოვში გარბოდნენ სიმართლის საძიებლად და ტყუილითა და მართლით ცდილობდნენ თავიანთი მიზნის მიღწევას. სხვათა შორის, ასევე გარბოდნენ ქართველები (თუმცა შორი გზა იყო) კონსტანტინეპოლში, მონღოლთა ურდოში, ირანის შაჰისა თუ თურქეთის სულთანის კარზე.

ყოველივე ამას ქართველისა და საქართველოსთვის ტრაგედიების მეტი არაფერი მოუტანია და ისტორიის ამ მწარე გამოცდილების გამეორება ისეთ ქვეყანასთან ურთიერთობაში, როგორიც ჩვენი უპირველესი იმედი — ამერიკის შეერთებული შტატებია, ნამდვილად არაა საჭირო“ — ნათქვამია ღია წერილში.

● **ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციას** განზრახული აქვს დააწესოს ოქროს ორი მედალი. ერთი გადაეცემა იმ პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს, ვინც ქართულ ჭადრაკს მხარდაჭერას და თანადგომას გამოუცხადებს, მეორე იმ მოჭადრაკეებს, ვინც გამორჩეულ წარმატებას მიაღწევს.

● **საფეხბურთო კლუბი „ლოკომოტივი 2“**, როგორც რკინიგზელთა საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ამიერიდან თბილისიდან გადავა სამტრედიაში და გუნდი I ლიგაში ითამაშებს. ეს ნაბიჯი მისასალმებელია, რადგან სამტრედიას დიდი საფეხბურთო ტრადიციები გააჩნია და იქნებ სწორედ ამ გადაწყვეტილებით მიეცეს დასაბამი ტრადიციის აღორძინებას.

● **თბილისის „დინამოს“ ვეტერანმა** ფეხბურთელმა ვაჟა ქვანიამ არაორიგინალური, მაგრამ საღეისოდ ჩვენთვის ესოდენ მისალები წინადადება წამოაყენა, ქვანია აპირებს შექმნას საქართველოს ეროვნული ნაკრების ალტერნატიული გუნდი. ჩანაფიქრი მან გაანდო სფფ-ს პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას, რომელმაც წინადადება მოიწონა.

„ალტერნატიული ნაკრებისა და ძირითადი ნაკრების ურთიერთშეხვედრა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩზე ნაკლებმნიშვნელოვანი არ იქნება. ორივე გუნდის ფეხბურთელები შეეცდებიან მთავარი ნაკრების მწვრთნელს მოაწონონ თავი გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად. ჯანსაღი კონკურენცია ყველა საქმეშია სასურველი, მით უფრო, ეროვნულ ნაკრებში“, — ამბობს ვაჟა ქვანია.

## მილოცვები

საქართველოს სპორტის ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაცია და პირადად მისი პრეზიდენტი ომარ ლონლაძე დაბადების დღეს ულოცავს ქართული სპორტის სიამაყს, ტანვარჯიშში ოლიმპიურ ჩემპიონს, სათნო ქალბატონს **მედეა (მზია) ჯუღელს.**

* * *

„ლელოს“ რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ტანვარჯიშში, ჩვენი ქვეყნის სათაყვანო პიროვნებას, ძვირფას ქალბატონს **მედეა (მზია) ჯუღელს.**

* * *

„ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ქართული სარაგბო თემის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, სახელოვან „ლოკომოტივის“ ვეტერან მორაგბეს, ცნობილ ექიმ-ტრავმატოლოგს **ვალტერ კაპანაძეს.**

კალათბურთი. ჭაბუკთა ევროპის პირველობა

## ქართველებს შემდეგ ეტაპზეც სერიოზულ მეტოქედ თვლიან

დიახ, ქართველ ჭაბუკთა ნაკრებს მწვრთნელ თამაზ ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით, სლოვაკეთში მიმდინარე ევროპის პირველობის ერთ-ერთ სერიოზულ მეტოქედ რომ მიიჩნევენ, ეს ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა ფრანგებთან პირველსავე მატჩში დაამტკიცა. კონტინენტის უძლიერეს გუნდთან ჩვენებმა მხოლოდ ორი ქულით წააგეს (73:75), მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ წააგებინეს, რადგან სწორედ კრიტიკულ მომენტში, საფინალო სიგნალამდე ორი წუთით ადრე ტაბლო მწყობრიდან გამოვიდა ზუსტად იმ დროს, როცა გამყრელიძემ მეტოქის კალათი 2-ქულიანი ტყორცნით დალაშქრა, მსაჯმა და კომისარმა კი არა და არ ინებეს ტექნიკის შეცდომის გამოსწორება. მეორე ტურში ჩვენმა ყმაწვილებმა იოლად სძლიეს ლუქსემბურგელებს 104:60, მესამე ტურში კი მათი მეტოქე იყო სლოვაკეთი, რომელსაც 71:50 სძლიეს. ამის შემდეგ ჩვენების გასვლა შემდეგ ეტაპზე თითქმის ეჭვს აღარ იწვევდა. ქართველმა ყმაწვილებმა 9 აგვისტოს პოლონელებთან შეხვედრაშიც დაამტკიცეს თავიანთი უპირატესობა, მოიგეს რა მატჩი 85:66. ბოლო ტურში ბელგიელებთან თამაშიც არ მიიჩნეოდა ძნელად მოსაგებად. ასეც მოხდა — 85:64 ქართველთა სასარგებლოდ.

ამრიგად, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ქვეჯგუფში II ადგილი დაიკავა ფრანგების შემდეგ და გაინაღდა შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის უფლება.

სპეციალისტები არ მალავდნენ, რომ ქართველთა ნაკრები ღირსეული მეტოქეა ყველა გუნდისათვის და მისგან სიურპრიზებს უნდა ველოდეთ არა მხოლოდ მომდევნო, არამედ ფინალურ ეტაპზეც, სადაც მათი აზრით, ჩვენი გუნდი უთუოდ გაინაღდებს ადგილს.

„ლელო“ – სააგენტო „გუმათი“

## SOS! არა, ეს სენსაცია არ არის, ეს ჩვენი უბედურებაა!

*„ლელოში“ ბევრი დაიწერა აშშ-ში ქალ მშვილდოსანთა მსოფლიო პირველობის დღეებში თავს გადამხდარ (არა)ჩვეულებრივ ამბებზე. მერე გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, ზოგიერთმა დაიწყო თავის მართლება. რედაქციის თხოვნით აჭარის სპორტის დეპარტამენტიდან გამოვითხოვეთ დოკუმენტი, რომელიც, ვფიქრობთ, ნათელს მოფენს ბევრ საკითხს და ის, რაც მოხდა არა თუ სენსაციურია, არამედ მართლაც რომ ჩვენი საერთო უბედურებაა, ქვეყანაში, სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს.*

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ თ. ბოლქვაძეს**

**აჭარის მშვილდოსანთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის თამაზ ფუტკარაძის**

### მოხსენებითი ბარათი

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ ვერ უზრუნველყო ნაკრები გუნდისათვის შეკრების ჩატარება მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მე თხოვნით მოგმართეთ თქვენ მშვილდოსან ქალთა ნაკრები გუნდისთვის ჩაგეტარებინათ 14-დღიანი სასწავლო-საწვრთნო შეკრება. თქვენი ბრძანებით აღნიშნული შეკრება ჩატარდა და გუნდი სათანადოდ მოემზადა მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

აჭარის მშვილდოსნობის ფედერაციამ თხოვნით მიმართა საქართველოს ეროვნული მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს ქალბატონ ქ. ლოსაბერიძეს შეკრებაზე მოევლინებინათ უკრაინიდან ახალგადმოყვანილი ქრისტინე ესებუა, მაგრამ ალექსანდრე მექევიძემ ბათუმში ჩამოსვლისა და ვარჯიშის უფლება არ მისცა. შეკრების დროს ბათუმში არც მექევიძე ჩამოვიდა და არც სპორტსმენი ჩამოიყვანა, რამაც გამოიწვია ის, რომ საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდი ერთმანეთს შეხვდნენ 10 ივლისს, დილით 8 საათზე, თურქეთში გამგზავრების წინ.

თურქეთში გამგზავრების წინ ანგისის სტადიონზე მექევიძემ განაცხადა, რომ მე მწვრთნელ ფუტკარაძეს მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ წავიყვან, რადგან მთლიანი თანხა არ მიმიღია. მაშინ ნაკრების გუნდის წევრებმა ხათუნა ფუტკარაძემ და ასმათ დიასამიძემ ჩემთან ერთად მას განუცხადეს, რომ ასეთ შემთხვევაში უარს ვაცხადებთ მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლაზე. ამ საუბრის დროს თქვენ მობრძანდით სტადიონზე ჩვენს გასაცილებლად. მე შემეკითხეთ, რაიმე პრობლემა ხომ არ არისო. მოგახსენეთ, რომ მას ჩემი წაყვანა არ სურს იმ მოტივით, რომ მას ჩემი მგზავრობის, ცხოვრებისა და კვების თანხა არ მიუღია. ამის შემდეგ თქვენ მობილური ტელეფონით დაუკავშირდით საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს ქალბატონ ქეთევან ლოსაბერიძეს და აუხსენით მას, რომ მექევიძე უარს აცხადებს მსოფლიო ჩემპიონატზე მწვრთნელის წაყვანაზე. ლოსაბერიძემ თქვენ გიპასუხათ — მე უარი ვთქვი ამერიკაში წასვლაზე, ჩემი ბილეთი ჩაბარდება და ჩემზე გათვალისწინებული ხარჯებით გაემგზავრება თამაზ ფუტკარაძე. მობილური ტელეფონი გადაეცით მექევიძეს და ქეთევან ლოსაბერიძემ იგივე გაუმეორა. ამის შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა თურქეთში.

ჩვენს დელეგაციაში იმყოფებოდნენ მშვილდოსნები ხათუნა ფუტკარაძე, ასმათ დიასამიძე, ქრისტინე ესებუა, მე, ალექსანდრე მექევიძე და ორი პიროვნება: ნინო ბეთლემიძე და ქუთაისელი ვანო გოშხეთელიანი, რომლებსაც ნაკრებ გუნდთან არავითარი კავშირი არ

იხ. მე-2 გვ.

აქტუალური თემის გაგრძელება

## მივდივართ არგენტინაში, ჩამოვლენ არგენტინიდან?

### დი სტეფანოსადმი მიძღვნილი მსოფლიო საფეხბურთო კონგრესი ახალ სტიმულს მისცემს ფეხბურთს ჩვენს პლანეტაზე



ნ.პატარქალიშვილი

11-13 ნოემბერს არგენტინის საფეხბურთო მწვრთნელთა ასოციაცია ქ. ბუენოს-აირესში ატარებს მწვრთნელთა საერთაშორისო კონგრესს, რომელიც არგენტინის ნაკრებისა და „რივერ პლეიტის“, „რეალ მადრიდის“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელის ალფრედო დი სტეფანოს ეძღვნება. დი სტეფანო, როგორც მწვრთნელი სათავეში ედგა „ბოკა ხუნიორსს“, „რივერ პლეიტს“, ესპანეთის „ვალენსიას“, იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს საფეხბურთო სამყაროს სპეციალისტთა შორის.

კონგრესს უხელმძღვანელებენ ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და ვიცე-პრეზიდენტი, არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა. საპატიო სტუმართა შორის იქნებიან: იოჰან კრუიფი, ემე ჟაკე, კარლოს ბილარდო, ლუის მენოტი, ხოსე პეკერმანი და სხვა ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტები.

კონგრესზე მიწვეულნი არიან საფეხბურთო მწვრთნელები და სპეციალისტები, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, ასევე, როგორც საქართველოდან, ისე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან. მათი შეკრებისა და კონგრესზე წარდგენის უფლებამოსილება ორგანიზატორებისგან მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარეს ნიკო პატარქალიშვილს. „ლელოს“ წარმომადგენელმა სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე კონგრესთან დაკავშირებით.



● ***ბატონო ნიკო, კონგრესი დი სტეფანოს საპატივცემულოდ პირველად ტარდება თუ ტრადიციულია?***

— ამ ეგიდით პირველად ტარდება.

● ***რას ისახავს კონგრესი მიზნად?***

— ძირითადი მიზანია მსოფლიოში მომუშავე მწვრთნელთა ურთიერთგაცნობა, ახლო კავშირების გზით მეგობრობის განმტკიცება, ფეხბურთის კიდევ უფრო გამოცოცხლება ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებით.

● ***ეკონომიკაზე როგორ უნდა მოახდინოს ფეხბურთმა ზეგავლენა?***

— მოწინავე მწვრთნელებს ძალუძთ აამაღლონ ფეხბურთის თამაშის კლასი ნებისმიერ ქვეყანაში. ეს იმას ნიშნავს, რომ გაიზრდება ფეხბურთისადმი ინტერესი, ხალხი მიეძალება სტადიონებს. იქ გაფართოვდება მომსახურება, გაყიდვაში გაჩნდება უამრავი სუვენირები საკლუბო იქნება ეს თუ სანაკრებო, მთელი ძალით ამუშავდება რეკლამა, მაღალი კლასის ფეხბურთელების ტრანსფერი კი კლუბსაც უდიდეს შემოსავალს მოუტანს. ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. განა, რაც ითქვა, არ გამოიწვევს ეკონომიკისა და ფეხბურთის, გნებავთ, ფეხბურთისა და ეკონომიკის სინქრონულ გამოცოცხლებას?

● ***გეთანხმებით! თუ არის ცნობილი კონკრეტულად რა ღონისძიებებს მოიცავს კონგრესის სამდღიანი პროგრამა?***

— ურთიერთგამოცდილებისა და ზოგადსაფეხბურთო პრობლემებზე მსჯელობის, ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების გარდა, პროგრამაში შედის კულტურული ღონისძიებები — არგენტინულ ტანგოს საღამოებზე დასწრება ცნობილ გარდელის კულტურის ცენტრში, გაუჩოების — ცხენების მწყემსთა ტრადიციულ დღესასწაულებზე მიწვევა, ეროვნული სამზარეულოს დაგემოვნება და ა.შ.

იხ. მე-4 გვ.

## ვერცხლის ორი მედალი



კაუნასში დამთავრდა ევროპის პირველობა კადეტ მოკრივეთა შორის. 30-ზე მეტი ქვეყნის 190 სპორტსმენთა შორის იყვნენ საქართველოს წარგზავნილებიც. 5 მოკრივის გამგზავრება კაუნასში საქართველოს კრივის ფედერაციამ (პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი) დააფინანსა. ხუთიდან ორმა ჩვენმა მოკრივემ ფინალში გასვლა შეძლო და ორივე მათგანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ესენი არიან კობა ფხაკაძე (57 კგ) და კობა ქარქაშაძე (63 კგ). მწვრთნელებია ბექან ჰიჰინავა და ტარიელ ვერულაშვილი.

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### რუსეთის ოლიმპიური ჩემპიონები თითო მილიონ დოლარს მიიღებენ

**როგორც რუსული საინფორმაციო საიტი „რტრ-სპორტი“ იუწყება, რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ვიაჩესლავ ფეტისოვისა და მსხვილ ბიზნესმენთა შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ათენში, 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების შემთხვევაში, თითოეული რუსეთელი სპორტსმენი მიიღებს ჯილდოდ ერთ მილიონ დოლარს.**

● **მაკედონიის** ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა 43 წლის სპეციალისტი დრაგან კანატლაროვსკი. მან ამ პოსტზე შეცვალა ნიკოლა ილიევსკი, რომელიც გუნდიდან გააძევეს ბოლო დროს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე წარუმატებელი მატჩების სერიის გამო.

სხვათა შორის, კანატლაროვსკი ნაკრებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზეც ხელმძღვანელობდა. მისმა გუნდმა წარუმატებლად ითამაშა, რის გამოც კანატლაროვსკის თანამდებობა დაატოვებინეს. ეტყობა, მაკედონიაში სხვა სპეციალისტი ვერ უპოვიათ.

● **რუსეთის** ნაკრები ემზადება ისრაელის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისათვის, რომელიც 20 აგვისტოს, მოსკოვში გაიმართება.

## ანონსი




„ლელოს“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ სპეციალურ გვერდს „რასიზმს — არა!“ რომელშიაც მოგითხრობთ ამ პროგრამის განხორციელების გეგმებზე საქართველოში, ამასთან, გამოქვეყნდება კონკურსი, რომელიც სფფ-მ გამოაცხადა იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ცალკეული ჟურნალისტების წასახალისებლად, რომლებიც უკეთ გააშუქებენ რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემას.

ATHENS 2004

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 7 თვე გვაშორებს

შეჯიბრებული გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

# არა, ეს სენსაცია არ არის, ეს ჩვენი უბედურებაა!

*პირველი გვერდიდან*

ჰქონდათ. როგორც მექევიძემ აგვიხსნა, ისინი მოდიოდნენ ამერიკაში პირადი თანხებით. ხოფიდან დელეგაცია სტამბულში ჩავიდა 11 ივლისს 8.30 წუთზე თურქეთის დროით. ნიუ-იორკში უნდა გავფრენილიყავით 15.10 წუთზე. ჩვენ მექევიძეს შევთავაზეთ პირდაპირ წავსულიყავით აეროპორტში და იქ დავლოდებოდით ნიუ-იორკის რეისის რეგისტრაციის დაწყებას, მაგრამ მექევიძემ ამაზე უარი გვითხრა და ქალაქში დარჩენა გვიბრძანა. აეროპორტში გავემგზავრეთ 13 საათზე, დავიწყეთ რეგისტრაციის გავლა, ბარგი ჩავაბარეთ და როდესაც მივედით საბაჟო და საპასპორტო კონტროლზე, მოითხოვეს თურქეთის რესპუბლიკის სატრანზიტო ვიზები, რომელიც მექევიძეს ხელზე არ აღმოაჩნდა, ვინაიდან ბარგთან ერთად ჩააბარა. სანამ მოძებნეს მექევიძის ბარგი, ამოიღეს იქიდან სატრანზიტო ვიზების საბუთები, თვითმფრინავი გაფრინდა ნიუ-იორკში. იმ ღამით დავრჩით სასტუმროში. მექევიძემ თურქეთის ტერიტორიაზე კვების თანხა არ მოგვცა და ჩვენ ვიკვებებოდით ჩვენი თანხებით.

12 ივლისს, დილით 5.30 წუთზე გავფრინდით ნიუ-იორკში ამსტერდამის გავლით. ფაქტიურად 13 ივლისს ჩავედით შეჯიბრების ადგილას, იმასთან დაკავშირებით, რომ რეისი შეიცვალა, ჯონ კენედის აეროპორტის ნაცვლად, ჩვენი დელეგაცია ჩაფრინდა ნიუ-ჯერსის აეროპორტში, რის გამოც, ჩვენ არავინ დაგვხვდა შეჯიბრების ორგანიზატორებიდან. ჩვენ დავრეკეთ ჩვენი გუნდის წევრ ხათუნა ლორიჯთან (ქვრივიშვილი), რომელიც ამერიკაში ცხოვრობს. მან გულთბილად მიგვიღო და თავისი მეგობრის ორი მანქანით მიგვიყვანა შეჯიბრების ადგილზე. იმ საღამოს, მიუხედავად ჩვენი მოთხოვნისა, მექევიძემ არ აგვიღო დელეგაციის წევრებს სასტუმრო და ღამის გათევა მოგვიწია ხათუნა ლორიჯის სახლში, მეორე დღეს დაღლილ-დაქანცულები ყოველგვარი აკლიმატიზაციის გარეშე ჩავებით წინასწარ საშეჯიბრო ვარჯიშებში, შემდეგ კი შეჯიბრებაში. ალექსანდრე მექევიძემ მეორე დღეს ჩვენ, ხათუნა ფუტკარაძეს, ასმათ დიასამიძეს, ქ. ესებუას და მე აგვიღო სასტუმრო 5 დღით. ხოლო კვების თანხაზე და დღიურზე უარი გვითხრა იმ მოტივით, რომ მას თბილისიდან თანხა არ მიუღია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტსმენები კვებით და ვიზის თანხებით უნდა დაეფინანსებინა აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს. ჩვენ გაგვიკვირდა მექევიძის ასეთი ლოგიკა და იმ პერიოდში გაჩუმება ვარჩიეთ.

ნიუ-იორკში ჩასვლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დელეგაციის ერთი წევრი, ივანე გოშხეთელიანი მექევიძემ წაიყვანა ნიუ-იორკში გარიგებით. გოშხეთელიანმა ვიზის გაფორმებისათვის და ამერიკაში წაყვანისათვის ალექსანდრე მექევიძეს გადაუხადა 6000 აშშ დოლარი. აღნიშნული არ გამომჟღავნდებოდა, რომ გოშხეთელიანსა და მექევიძეს შორის მოლაპარაკება არ დარღვეულიყო. მექევიძეს შეჯიბრების დამთავრებამდე უნდა უზრუნველეყო გოშხეთელიანი სასტუმროთი და კვებით, რაც მან არ გააკეთა. აღნიშნულის თაობაზე შეგიძლიათ მას დაუკავშირდეთ ამერიკაში ტელეფონზე 84-53-71-01-83 და ის გეტყვით ამის შესახებ სიმართლეს.

პირველი ხუთი დღე ჩვენ ვიკვებებოდით ჩვენი თანხით, რომელიც ბათუმიდან გაცილებისას გადმოგვეცით თქვენ (სასწავლო-საწვრთნო შეკრების თანხა 400 აშშ დოლარი). 18 ივლისიდან — 23 ივლისამდე მექევიძემ არ გადაიხადა სასტუმროს ფული და ჩვენ იძულებული გავხდით გადავსულიყავით ხათუნა ლორიჯთან საცხოვრებლად, სადაც ვცხოვრობდით გამოფრენის დღემდე. 18 ივლისს, როდესაც გაგვითავდა პირადი თანხა, დაგიკავშირდით თქვენ, რომ მშიერი ვრჩებით და გთხოვთ გადმოგვირიცხოთ 800 აშშ დოლარი. მეორე დილით ჩვენ მივიღეთ გამოგზავნილი თანხა 800 აშშ დოლარი. მიუხედავად ამ ტანჯვა-წამებისა, ჩვენმა სპორტსმენებმა შეძლეს ორი ლიცენზიის მოპოვება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი დელეგაციის ყოფნის პერიოდში მექევიძეს ჩვენთვის არც ერთი ცენტი არ მოუცია. 25 ივლისს დელეგაცია დაბრუნდა ბათუმში.

ჩვენს სპორტსმენებს ასმათ დიასამიძეს, ხათუნა ლორიჯს და ოლღა ლადიგინას თავისუფლად შეუძლიათ 2004 წლის მაისის თვეში ევროპის ჩემპიონატზე ბელგიაში მოიპოვონ კიდევ ერთი ლიცენზია, რომ ჩვენ საშუალება მოგვეცეს მივიღოთ მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებზე გუნდურ შეჯიბრებაში, სადაც შეგვიძლია მოვიპოვოთ ნებისმიერი სინჯის მედალი. ამისათვის საჭიროა ფედერაციამ დიამეტრიულად შეიცვალოს თავისი საქმიანობა. ბათუმში არსებობს ყველა პირობა და ათენის შესაბამისი კლიმატური პირობები, გუნდი მოემზადოს სათანადოდ და გამარჯვებული დაბრუნდეს ათენიდან.

გთხოვთ განიხილოთ.

**თ. ფუტკარაძე; საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრები მშვილდოსნობაში ხათუნა ფუტკარაძე, ასმათ დიასამიძე**

# დავით დავითაია

## სახელოვანი მწვრთნელები

ძველ სენაკელს, ჩია ტანის მორგვივით ყმაწვილს დავით დავითაიას, ამ კუთხის შვილის, სახალხო ფალავნის ნესტორ ესებუას ნათესავმა ფიზკულტურის მასწავლებელმა გვარად ესებუამ დიდ-პატარა „გაუას" რომ ეძახდნენ, დათოს და მის თანატოლებს ჯვალოს მაგარი ტომრებისგან საჭიდაო ჩოხები შეუკერა, ამის მერე ერთი დიდი ცაცხვის ძირში მან საჭიდაო წრე მოაწყო, ნახერხიც მოაყარა და გააჩაღა ქართული ჭიდაობა... დავითმა მაშინ ყველა თანატოლს სძლია. შემდეგ კი ფოთის ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმიდან საგარეჯოში ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობაზე პრიზიორი გახდა...

საქართველოსა და სსრკ დამსახურებულმა მწვრთნელმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, დავით დავითაიამ სწორედ ასე, ქართული ჭიდაობით დაიწყო თავისი სახელოვანი გზა სამწვრთნელო მოღვაწეობაში.

თბილისში რომ ჩამოვიდა, აქ გივი კარტოზიას ერთ-ერთმა მწვრთნელმა გიორგი ვარძელაშვილმა შეაყვარა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა და ბოლომდე ამ ჭიდაობის ერთგული დარჩა. მრავალჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი 52-57 კილოგრამ წონით კატეგორიებში. 1960 წელს, სსრკ ზონალური პირველობა მოიგო, იმავე წელიწადს მარჯვენა მკლავის სერიოზული ტრავმა მიიღო და ნელ-ნელა ჩამოსცილდა აქტიურ სპორტს.

სპორტის ოსტატმა, დავით დავითაიამ ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შემდეგ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა.

მწვრთნელობა თითქმის 40 წლის წინათ დაიწყო და დღემდე წარმატებით აგრძელებს ამ კეთილშობილურ საქმიანობას. მოღვაწეობდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის უფროს მასწავლებლად, უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის დირექტორის მოადგილედ, საქართველოს ჭაბუკ და ახალგაზრდული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად (1983-1992 წ.წ.). ამჟამად „შევარდენისა" და თბილისის ოლიმპიური რეზერვების კომპლექსური სპორტსკოლის უფროსი მწვრთნელია („პეტრეს დარბაზში"). განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო დავით დავითაიას საქმიანობა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე 1973-1983 წლებში. მარტო ის რად ღირს, რომ 1973 და 1976 წლებში საქართველოს „კლასიკოსებმა" დავითის ხელმძღვანელობით სსრკ გუნდური პირველობა (თასი) მოიგეს. სსრკ-ს მოჭიდავეები მაშინ და დღესაც, ახლა კი მათი მემკვიდრე — რუსეთი, უძლიერესი იყო და არის მსოფლიოში. სხვათა შორის, წლეულს შემოდგომაზე აღინიშნება ქართველი „ბერძენ-რომაელებისაგან" სსრკ თასის მოპოვების 30 წლისთავი.

შარშან, 2002 წელს, დავით დავითაიას მოწაფე — ბადრი ხასაია ევროპის საუკეთესო მოჭიდავედ დაასახელეს. ბადრიმ ევროპის ჩემპიონობის გარდა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა (74 კგ).

უფროსი მწვრთნელობისას დავითის ხელმძღვანელობით წარმატებას აღწევდნენ მსოფლიო ჩემპიონები: თემურ აფხაზავა, მიხეილ სალაძე, თემურ ყაზარაშვილი, გურამ გედეხაური, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი შოთა მორჩილაძე და სხვები. ეს, რაც შეეხება მისი გუნდის წევრებს.

დავითი პირადი მწვრთნელი იყო და არის ისეთი ცნობილი მოჭიდავეებისა, როგორებიცაა: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, ევროპის თასის მფლობელი, იოსებ ბერიშვილი (74-82 კგ), მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი თენგიზ



თედორაძე (100 კგ), ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ბადრი ხასაია (74 კგ), მსოფლიოსა და ევროპის პირველობის გამარჯვებული ახალგაზრდებს შორის, გიორგი წურწუმია (120 კგ), მსოფლიოს პირველობის გამარჯვებული ჭაბუკთა შორის პაატა ბიწაძე (54 კგ), ლოკომოტიველთა შორის მსოფლიო პირველობის გამარჯვებული დავით ლატარია (74 კგ). ამჟამად დავით დავითაია დიდ იმედებს ამყარებს ცნობილ მძიმეწონოსნის, შოთა მორჩილაძის ვაჟზე გივი მორჩილაძეზე და სხვა პერსპექტიულ ბერძნულ-რომაული სტილის ახალგაზრდა მოჭიდავეებზე, რომლებიც დავით დავითაიასა და მოჭიდავეთა მრავალი თაობის მექაში — „პეტრეს დარბაზში" (გიორგი ჩუბინაშვილის, 38) იწრთობიან. დარბაზი (ძველ ეკლესიაში), რომელიც ისეა მოძველებული, საცაა დაინგრევა, დავით დავითაიამ კი შვებულებაც არ იცის რა არის, ყოველდღე ამეცადინებს ჭიდაობის ჟინით შეპყრობილ ყმაწვილებს. მწვრთნელმა ორი წლის წინათ სერიოზული ოპერაცია გადაიტანა, შინ გულმა არ გაუძლო და ოპერაციიდან ერთი კვირის თავზე, კვლავ საჭიდაო ლეიბზე დადგა — განუყრელი სასტვენით ხელში...

მოჭიდავეთა ამგვარ მწვრთნელს, დავით დავითაიას მიაჩნია, რომ მას, როგორც პროფესიონალს, ჭიდაობის ტექნიკა გამოჩენილმა მწვრთნელმა მიხეილ თიკანაძემ, თეორია — ნოდარ ოყროშიძემ, სწავლების მეთოდიკა — ივანე ალიხანოვმა, და აკურატულობა წვრთნაში — გიორგი ვარძელაშვილმა შეასწავლა. სწორედ ამ სახელოვანი პედაგოგების ქურაში გაიარა სენაკელმა ჭიდაობის მოძღვარმა. ამის გარდა, გარკვეული სკოლა იყო სსრკ ნაკრებში 18 წელიწადს საქმიანი ურთიერთობა არაერთ მწვრთნელ-კორიფესთან.

ვინც დავით დავითაიას იცნობს, ყველა ამბობს, რომ ის არის ვირტუოზი მწვრთნელი.

● ***მაინც რა არის კარგი მწვრთნელის საიდუმლო?*** — ვეკითხები დავითს.

— მწვრთნელს უნდა ჰქონდეს წვრთნის ყოველდღიური ჩანაწერები, რის საფუძველზე კეთდება ანალიზი, პროგნოზი და გეგმა — ამბობს იგი. როცა ვიცით სპორტსმენის დატვირთვის მოცულობა და ინტენსივობა, მხოლოდ ამის მერე შეგვიძლია გავაკეთოთ გეგმა, — თითოეული სპორტსმენისთვის. ერთი კვირის მიკროციკლი მაინც უნდა იცოდეს მწვრთნელმა, რა კონდიციებზე უნდა იმუშაოს სპორტსმენთან, რომ წვრთნის მოცულობისა და ინტენსივობის მიხედვით შედეგს მიაღწიოს.

ზოგიერთ მოჭიდავეს დამამშვიდებლად, ზოგსაც ემოციურ განწყობაზე უნდა მიდგომა. სწორი განწყობის უნარი იძლევა ხალიჩაზე სასურველ შედეგს. რაც მთავარია, მწვრთნელი მუდამ ხვალინდელი დღის იმედით, ოპტიმიზმით უნდა დუღდეს, რადგან შეგირდისთვის მწვრთნელი ერთგვარი სარკეა. აღმზრდელი შინაგანად პერსპექტიული ცხოვრებით უნდა ილვწოდეს. სხვანაირად წარმოუდგენელია. — დაასკვნის დავით დავითაია, რომელიც კიდევ ორ ოლიმპიურ თამაშებზე ფიქრობს ქართველი „ბერძენ-რომაელების" ნაკრებისათვის კანდიდატების მომზადებას. ცოტა ხნით დავით დავითაია აშშ-შიც წვრთნიდა მოჭიდავეებს. ერთ-ერთი ამერიკელი მოჭიდავე ჯესი ახლაც ითხოვს თბილისში ჩამოსვლას და დავითთან წვრთნას. მაგრამ „პეტრეს დარბაზში" ელემენტარული თბილი წყალიც არ არის გაოფლილმა მოვარჯიშემ რომ გადაივლოს ტანზე. არც ტელეფონი მუშაობს, კედლებიდან ბათქაში ცვივა, მწვრთნელები თვეობით ვერ იღებენ მიზერულ ხელფასს. მიუხედავად ამისა, ორი შვილის მამას და სამი შვილიშვილის ბაბუას დავით დავითაიას მიაჩნია, რომ „პეტრეს დარბაზი" თავისი აღზრდილებითა და თუნდაც მიკროკლიმატით — ისტორიული ძეგლია და საუკეთესოა მსოფლიოში.

**გაბრიელ ბარჯაძე**

*სურათზე მარცხნიდან:* დამსახურებული მწვრთნელი, დავით დავითაია, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ბადრი ხასაია, ცნობილი ძიუდოისტი, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი, გენერალი შენგელი ფიცხელაური დგანან საქართველოს ეროვნული ოლიმპიურ კომიტეტში.

**რობერტ ბაგოიანის ფოტო**

**რედაქციისაგან: დადის ხმები, თითქოს „პეტრეს დარბაზს" იმიტომ არ არემონტებენ, რაც შეიძლება უვარგისი გახდეს სპორტისათვის, რომ შემდეგ მავანმა ჩალის ფასად შეიძინოს.**

მინიფეხბურთი. შალვა ჭანკოტაძის ხსოვნის თასი

# საზღვრის დამცველებმა ფეხბურთის კარიც ყოჩაღად დაიცვეს

როცა სახელოვანი და ღვაწლმოსილი პიროვნების გამორჩეულად დაფასება დღის წესრიგში დგება, ღონისძიებათა ნუსხაში აუცილებლად იმკვიდრებს სპორტი ადგილს. დიახ, სპორტი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ღირსეული ადამიანი მხოლოდ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კი არ გავიხსენოთ, არამედ, სისტემატურად, ხსოვნის ტურნირის ტრადიციულ ასპარეზობად დანერგვით. ამიერიდან ტრადიციულად დამკვიდრდება გენერალ შალვა ჭანკოტაძის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება მინიფეხბურთში. თასი დააწესა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის პროფკომიტეტმა (თავმჯდომარე ვაჟა მირუაშვილი), გათამაშებაში კი მონაწილეობდა აეროპორტის ტერიტორიაზე განლაგებული ორგანიზაციებისა და ავიაკომპანიების 9 გუნდი.



ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა, რამაც კიდევ უფრო აამაღლა ინტერესი ამ ასპარეზობისადმი. პირველობა მოიპოვა და გარდამავალ თასს დაეუფლა საზღვრის დაცვის ავიარაზმის გუნდი (მწვრთნელი შამილ ქორთოშაძე), მეორე ადგილზე გავიდა თბილისის აეროპორტთან არსებული სამთავრობო დაცვის გუნდი (მწვრთნელი დავით კოსტავა), მესამეზე — აფხაზეთის ავიაკომპანია „აბავიას" ნაკრები (მწვრთნელი მერაბ სიჭინავა).

დაწესებული ფულადი პრემიები გადაეცათ საუკეთესო მოთამაშეებს: მეკარეს — კახა აბჟანდაძეს, მცველს — უჩა მოდებაძეს, ბომბარდირ — რუსლან ბერულავას, საუკეთესო მოთამაშის ჯილდო წილად ხვდა დავით სარჯველაძეს, ვეტერანი ფეხბურთელის — თემურ სართანიას, ყველაზე კორექტული გუნდის — „საქაერონავიგაციას".

გამარჯვებულ და პრიზიორ გუნდებს ჯილდოები გადასცეს სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის" გენერალურმა დირექტორმა, ყოფილმა სპორტსმენმა ნოდარ აბჟანდაძემ და თბილისის აეროპორტის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, ასევე ყოფილმა სპორტსმენმა თამაზ ანდღულაძემ.

ინფორმაცია მოგვაწოდა „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელმა დინარა ტოგონიძემ.

## — მატიანე
### 50 წლის წინათ...

**მახარაძე.** ერთი კვირა გრძელდებოდა რაიონული პირველობის გათამაშება კალათბურთში. მონაწილეობდნენ „ისკრის", „კოლმეურნეს", „სპარტაკის", „კრასნოე ზნამიას", სოფელ ძიმითის, ქალაქის ვაჟთა საშუალო სკოლისა და სხვა გუნდები. რაიონის ჩემპიონობა „ისკრის" რაისაბჭოს გუნდმა მოიპოვა.

**ცხაკაია.** ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში ჩატარდა შიდასასკოლო შეჯიბრება ფრენბურთსა და კალათბურთში. კალათბურთში გამარჯვება მოიპოვა X კლასის გუნდმა. ფრენბურთში - XI კლასის მოსწავლეებმა.

## „ლოკომოტივმა“ პირველად მოიგო

გულით ეწადათ რევაზ არველაძის შეგირდებს პირველი გამარჯვების მოპოვება და მიაღწიეს კიდეც, ოღონდ უკომპრომისო, დაძაბულ ბრძოლაში. თუმცა, თამაში რომ მძიმე და უშეღავათო იქნებოდა, ეს ყველასათვის ცხადი იყო, რადგან გორელებმა საკმაოდ რიხით დაიწყეს ეროვნული ჩემპიონატი. წინა ტურში მათ ხომ ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზეს, როდესაც საკუთარ კედლებში „ვიტ ჯორჯია“ დასცეს, თანაც, მეტად სოლიდური ანგარიშით. და კიდევ, ამ შეხვედრას თავისებურ ინტრიგას ისიც მატებდა, რომ წინა სეზონში „ლოკომოტივიდან“ დათხოვნილი ოთხი ფეხბურთელი: გიორგი ბალაშვილი, ალეკო კაიდარაშვილი, ზაზა ლაცაბიძე და მერაბ ძოძუაშვილი დღეს უკვე „დილას“ ღირსებას იცავენ. მოკლედ, მატჩს ინტერესით ელოდნენ გულშემატკივრები და მათი მოლოდინი გამართლდა კიდეც.

შეხვედრის დებიუტი ისეთი იყო, როგორიც დაძაბულ შეხვედრებს ახასიათებს — საწყის მონაკვეთში ურთიერთდაზვერვა, ნერვებზე თამაში და ლოდინი მოწინააღმდეგის შეცდომისა. ისე რომ, არა აუტანელი თბილისური სიცხე, თამაშის ტემპი, ბუნებრივია, უფრო მაღალი იქნებოდა. მასპინძელთა შორის, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, მარცხენაფლანგელი ქოქიაშვილი გამოირჩეოდა. მისი თითოეული ფლანგური ჩართვა სიმწვავეს მატებდა მასპინძელთა იერიშებს. პირველი ხიფათიც სწორედ მისი შესრულებით შეიქმნა მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ეფექტურად ჩაწოდებული ბურთი ოდნავ გადასცდა კარს. მალე სირაძეს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ სოლოლაშვილმა ადგილზე გააქვავა ბურთი. ამას გორელთა საპასუხო მწვავე შეტევა მოჰყვა და ძოძუაშვილმა თავური დარტყმით ლომაია ლამის უსაქმოდ დატოვა. პირველი ტაიმის

## საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა. III ტური

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა



„ლოკომოტივი“ - „დილა“

ბოლო მესამედში კი, ფორტუნამ აშკარად ზურგი აქცია მასპინძელთა გოლკიპერს. ზევით შეცდომის ლოდინი ვახსენეთ და აგერ ინებეთ, ბალაშვილის (ყოფილი ლოკომოტიველის) შორიდან დარტყმული ბურთი ლომაიას ხელიდან გაუვარდა და კაიდარაშვილმა (სხვათა შორის, ისიც ყოფილი ლოკომოტიველია) ახლოდან შეაგორა ბურთი კარში. ამ მოულოდნელად მიღებულმა გოლმა მასპინძლებს უფრო მეტი მობილურობა შემატა და ისინიც წინ დაიძრნენ. შედეგად ანგარიშიც მალე გათანაბრდა, თანაც ძალიან მარტივად: სირაძემ მარჯვნიდან სწრაფად ჩაუქროლა გორელ მცველებს, დაბალი ჩაწოდება მეკარის ბაქანთან და მიქაძის ფეხიდან ასხლეტილი ბურთი ხომერიკმა მშვიდად შეაგორა გორელთა კარში.

მეორე ნახევარი ერთი წუთის დაწყებულიც არ იყო, რომ მიქაძე საჯარიმოში დაუსხლტა სტუმართა მცველებს, შევიდა სტუმართა საჯარიმოში და ძირს დასცეს, პენალტი თავად დაზარალებულმა უნაკლოდ შეასრულა. ამჯერად უკვე გორელები აღმოჩნდნენ მდევრის როლში. შეხვედრის ბოლომდე მათ საკმაო იერიშები მიიტანეს ლომაიას კართან, მაგრამ თბილისელთა მეკარე მათთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. ის კი არა და, ლომაიამ ბოლოს, როდესაც გორელები საბოლოო შტურმზე გადავიდნენ, ათიოდე მეტრიდან კაიდარაშვილს ისეთი დარტყმა აუღო, ბარემ ბევრი მეკარე ვერ დაიტრაბახებდა.

მოკლედ, „ლოკომოტივმა“ ღირსეულ მეტოქესთან დამსახურებული სამი ქულა აიღო. აი, გორელებმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ამ სეზონში მათ საკმაოდ საფუძვლიანი ამბიციები ექნებათ იმისათვის, რათა ჯერ ზეჭქსეულში დაიმკვიდრონ ადგილი, შემდეგ კი საპრიზო ადგილებისთვისაც იბრძოლონ.

**დავით ბერიაშვილი**

## „დინამოს“ კოლხეთმა აწყინა

### III ტურის მიმოხილვა

მართლაც მოულოდნელობებით აღსავსე გამოდგა ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტური. მართალია, „მშვიდობიანი“ ანგარიშებიც დაფიქსირდა, მაგრამ ხმაურიანმა სენსაციებმა ყველაფერი დაჩრდილა.

საევროპოდ გამზადებულმა „ტორპედომ“ „სპარტაკ-ლაზიკა“ მიიღო და ერთი შეხედვით, ამ წყვილში წინასწარ განწირულ გუნდთან ვერაფერს გახდა. ქუთაისელებს მალე ფრანგულ „ლანსთან“ დაპირისპირება ელით და ამიტომაც, იქნებ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან პაექრობის წინ ძალები შეინახეს?! ასეთ ვარაუდს არსებობის უფლება ნამდვილად აქვს, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, საკუთარ კედლებში უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან ნულოვანი ფრე შარშანდელი სეზონის ვერცხლის პრიზიორთათვის ძალიან ცუდი შედეგია, თუმცა აქვე არ გვინდა დამსახურება დავუკარგოთ სტუმრებს, რომლებმაც მთელი მატჩი ორგანიზებულად ჩაატარეს და პირველი ქულა ჩაიწერეს აქტივში.

ფოთში კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ თბილისის „დინამო“ სრულფასოვნად ჯერ ვერ გამოვიდა ტირანული კომშარიდან. შუშაკს ზღვისპირელებთან არ ჰყოლია ტრავმირებული ანჩაბაძე და მის ნაცვლად გამთამაშებლობა ვიტალი დარასელიამ ითავა. მართალია, იგი ერთი გატანილი გოლით შეეწია თავის გუნდს, როცა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მასპინძელთა მხრიდან ორმა შედეგიანმა იერიშმა სამი ქულა ფოთში დატოვა. ამ გამარჯვებით კოლხები ცხრილის სათავეში მოექცნენ და ვინ იცის, იქნებ კარგა ხნით დარჩნენ იქ. ბოლნისის „სიონმა“ კიდევ ერთი ფრეთი გააგრძელა თბილისური ვოიაჟი. წინა კვირას „ლოკომოტივთან“ ნათამაშებ 1-1-ს „თბილისთან“ ამჯერადაც იგივე ანგარიში მიაყოლა. სტუმრები პირველ ნახევარში გიორგი შენგელიას მიერ გატანილი გოლის შემდეგ იგებდნენ. თუმცა, მასპინძელთა იერიშებმა შედეგი მაინც გამოიღო და მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე დათვაძემ საკუთარ გუნდს ქულა გადაურჩინა.

მეტად დაძაბული გამოდგა უმაღლესი ლიგის ორი დებიუტანტის „მერცხლისა“ და „მცხეთის“ დაპირისპირება. ჯერ კიდევ პირველი ლიგიდან ერთმანეთისთვის კარგად ნაცნობმა გუნდებმა თავი არ დაზოგეს გამარჯვების მოსაპოვებლად. ძირითადი მოვლენები შეხვედრის მეორე ნახევარში განვითარდა. მაშინ, როცა ოზურგეთელმა ხუჭუამ ანგარიში გახსნა, ყველას ეგონა, რომ მასპინძლები საქმეს გამარჯვებამდე მიიყვანდნენ, მაგრამ „მცხეთამ“ სულ რაღაც ოთხიოდე წუთში პენალტი მოინადირა და ბექა ნოზაძემ მატჩის ანგარიშს წერტილი დაუსვა.

**ტური გუშინ,** „შევარდენზე“ გამართული მატჩით დასრულდა. ვიტელთა და ზღვისპირელთა დაპირისპირებაში უკეთ მასპინძლები გამოიყურებოდნენ და მიუხედავად ერთგვარი დაძაბულობისა, მატჩი ლოგიკურად დასრულდა. „ვიტ ჯორჯიას“ სამ გოლს სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხს. ვეტერინარები თანაქალაქელ „დინამოს“ ქულებით გაუტოლდნენ, სატურნირო ცხრილში, ერთბაშად, შვიდი საფეხურით ზევით აინაცვლეს და ბურთების უარესი შეფარდების გამო მესამე ადგილზე განთავსდნენ. ვიტელთა ამ გამარჯვებამ მომავალ მე-4 ტურს ინტრიგა შესძინა. კვირას, 17 აგვისტოს, ეროვნულ სტადიონზე თბილისური დერბი გაიმართება. ლიდერთა სამეულის ორი გუნდი „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ ერთმანეთთან პაექრობაში ამ ეტაპზე უძლიერესის გამოვლენას შეეცდებიან.

რაც შეეხება ბათუმის „დინამოს“, გუნდი შარშან დამკვიდრებულ სამწუხარო ტრადიციას ამჯერადაც არ ღალატობს. ბათუმელებმა ახალი ჩემპიონატიც მძიმედ დაიწყეს. სამი ტური მიილია და საკმარისია ცხრილს გადავხედოთ, მივხვდებით, თუ რაოდენ კრიზისული ვითარებაა გუნდში. თუ მდგომარეობის გამოსწორებაზე კლუბის მესვეურებმა დროულად არ იზრუნეს, ბათუმის დინამო“ ისევ მხოლოდ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე მეოცნებე გუნდად დარჩება.

**დავით ქართველიშვილი**

## ტურის სტატისტიკა

**9 აგვისტო. ქუთაისი. სტადიონი „ტორპედო“. 2000 მაყურებელი.**

**ტორპედო – სპარტაკი-ლაზიკა 0-0**

**ტორპედო:** სტურუა, ლ. ჭელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, შ. ბაბუნაშვილი, ყიფიანი, გამეზარდაშვილი (კვეტენაძე 25), ახალკაცი, პორომინი (ქუთათელაძე 70), მუშკუდიანი.

**სპარტაკი-ლაზიკა:** მამალაძე, გ. ქვანია, წურწუმია, იმნაიშვილი, ჩიკვილაძე (ჯანგიძე 72), დ. ბოლქვაძე, კ. ალადაშვილი, ეგაძე, გრ. დოლიძე, ტატანაშვილი (გ. კვერენჩხილაძე 76), გ. თოდუა (ი. ებანოიძე 87).

**გააფრთხილეს:** კ. ალადაშვილი (22), ყიფიანი (70), გრ. დოლიძე (90).

**მსაჯი:** შ. მაისურაძე (თბილისი).

**9 აგვისტო. ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 3000 მაყურებელი.**

**მერცხალი – მცხეთა 1-1**

**მერცხალი:** გ. გოგუა, კობაური, კვირკვია, ჭალიაშვილი (გრიგორიევი 80), გ. ილურიძე (მებონია 64), გ. წივწივაძე, მჟავანაძე, ბართია (სიამაშვილი 76), ჭინჭარაული, ხუჭუა, ჯ. კალანდაძე.

**მცხეთა:** ცინაძე, ამბიძე (ჩიტაური 22), გ. ქებაძე, ჯაფარიძე, რაქვიაშვილი, ლ. ქებაძე, ჩაჩუა, თირქია (ხიდაშელი, 73), ბ. ნოზაძე, ლ. ჩხაიძე, პარამონოვი (ჩილვინიძე 46).

**გოლები:** 1-0 ხუჭუა (71), 1-1 ბ. ნოზაძე (75 პენ).

**გააფრთხილეს:** ლ. ქებაძე (49), ხუჭუა (52), ბართია (54), ჩაჩუა (67), რაქვიაშვილი (76).

**მსაჯი:** კ. მესხი (ზუგდიდი).

**9 აგვისტო. ფოთი. სტადიონი „ფაზისი“. 3000 მაყურებელი.**

**კოლხეთი 1913 – დინამო (თბ) 2-1**

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ქუტიძე, შ. ლონლაძე, მინდაძე, გოროზია (რ. სვანაძე 46), ქობულაძე, აკობია, თაყაძე, ტუღუში, გაგუა (დ. ნარსია 78), დ. გოდერძიშვილი (მალანია 57).



**დინამო:** ზოიძე, კარლოსი (ს. იაშვილი 76), ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია, ახალაია, მელქაძე (ი. სამხარაძე 72).

**გოლები:** 1-0 დ. გოდერძიშვილი (27), 1-1 დარასელია (58), 2-1 გაგუა (66).

**გააფრთხილეს:** გოროზია (14), ხიზანეიშვილი (65), ბათიაშვილი (67).

**მსაჯი:** ა. მეშკოვი (თბილისი).

**9 აგვისტო. თბილისი. სტადიონი „შევარდენი“. 1000 მაყურებელი.**

**თბილისი – სიონი 1-1**

**თბილისი:** ნაჭყებია, ჯაკობია, დავითაშვილი, აფციაური (ხარებავა 46), ხოჯავა, გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (მიკუჩაძე 53), მესხი, გ. კვარაცხელია, მემარნიშვილი, სიდამონიძე, მიქიაშვილი (დათვაძე 46).

**სიონი:** ვოლკოვი, ხუჯაძე, კვეკვესკირი (ბაქრაძე 66), გაბისკირია, გუჩუა, დარსანია (ფანჩულიძე 77), გაბიდაური, გონჩაროვი, გ. შენგელია (ჰ. წივწივაძე 46), კოშკაძე, ჰიჭვეიშვილი.

**გოლები:** 0-1 გ. შენგელია (38), 1-1 დათვაძე (85).

**გააფრთხილეს:** გაბიდაური (58), წივწივაძე (69).

**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

**10 აგვისტო. თბილისი. სტადიონი „ლოკომოტივი“. 1500 მაყურებელი.**

**ლოკომოტივი – დილა 2-1**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ზამთარაძე, ვაშაკიძე, ქემოკლიძე, მანწკავა (ბურნაძე 52), ქოქიაშვილი, მიქაძე, ხომერიკი (კობახიძე 58), სირაძე, უგრეხელიძე (ორბელაძე 63), სიჭინავა.

**დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გ. ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, სულთანიშვილი (ოლგესაშვილი 64), ა. კაიდარაშვილი, ჯობაძე (საყვარელიძე 79), ძოძუაშვილი, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია.

**გოლები:** 0-1 კაიდარაშვილი (33), 1-1 ხომერიკი (40), 2-1 მიქაძე (47 პ.).

**გააფრთხილეს:** მანწკავა (52), მიქაძე (52), ოლგესაშვილი (87).

**მსაჯი:** დ. სანაია (სოხუმი).

### გუშინ...

**ვიტ ჯორჯია – დინამო (ბთ) 3-1**

### ბომბარდირი

ლადო ახალაია (დინამო თბ) — 5.

### სატურნირო მდგომარეობა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი1913 | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| დინამო (თბ) | 3 | 2 | 0 | 1 | 10-2 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 0 | 1 | 10-4 | 6 |
| სიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| დილა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| მერცხალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| მცხეთა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-9 | 4 |
| სპარტ.-ლაზ. | 3 | 0 | 1 | 2 | 0-9 | 1 |
| დინამო (ბთ) | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

## იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

20-21 აგვისტოს იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია ატარებს რეგიონული ტურნირების მატჩების ინსპექტორთა და მსაჯთა საკვალიფიკაციო გამოცდებს. მონაწილეები გამოცხადდნენ ქ. ქუთაისში, „ტორპედოს“ სტადიონის ტერიტორიაზე დილის 10 საათზე, თან იქონიონ ჯანმრთელობის ცნობა და წარდგინება იმერეთის რეგიონულ ფეხბურთის ფედერაციაში.

# მივდივართ არგენტინაში, ჩამოვლენ არგენტინიდან?

*პირველი გვერდიდან*

● ***და ყველაფერი ეს ვის ხარჯზე?***

— თავად სტუმრების, კონგრესის მონაწილეთა ხარჯზე. მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ამ სამი დღით არ ამოიწურება. პროგრამა მთლიანად ორკვირიანია, რომელშიც შედის დასწრება საკლუბო და არგენტინა — ბოლივიის ნაკრებების საფეხბურთო მატჩებზე, მოგზაურობა ქვეყანაში და ა.შ.

● ***ქვეყნებიდან სტუმართა ჩასვლა შეზღუდულია?***

— არა, ამის შესახებ არაფერს იტყობინებიან.

● ***იცით უკვე რამდენი მონაწილე იქნება საქართველოდან და პოსტსაბჭოთა სივრციდან?***

— ჯერ არა. ორგანიზაციული საკითხების მოგვარება ახლა იწყება. ისე ვიცი, რომ დაინტერესება ყველგან დიდია.

● ***დავუბრუნდეთ თემას, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. მხედველობაში მაქვს ორი პუბლიკაცია რუბრიკით „ინტერვიუ ინტერნეტით", რომელიც „ლელოში" გამოქვეყნდა, შემდეგ კი „საქართველოს რესპუბლიკამ" გადაბეჭდა. პუბლიკაციებში, როგორც იცით, ლაპარაკი იყო არგენტინელ საფეხბურთო მწვრთნელთა შესაძლო მოწვევაზე საქართველოში. კაიეტანო როდრიგესმა კი მიგვანიშნა მზადაა იმუშაოს ქართველ ფეხბურთელებთან. ხომ არაფერი შეიცვალა?***

— როგორც იცით, როდრიგესი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია. არგენტინაში ყოფნისას მე მასთან სამი თვე ვეწეოდი მოლაპარაკებას. თავად როდრიგესი, როგორც ბასკი, კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთს, ამბობს, რომ ქართულ გენში არის უდიდესი პოტენცია და საქართველოში თუ მიიწვევენ, იგი შეძლებს მსოფლიოში გამოაბრწყინოს ეს გენი.

● ***ლაპარაკია ნაკრებზე?***

— დიახ, ნაკრებზე. თუ მოიწვევენ, საქართველოში ის მარტო არ ჩამოვა, თან მოჰყავს ორი ასისტენტი — ერთი დამხმარე მწვრთნელი, მეორე ფიზიკური მომზადების სპეციალისტი. მაგრამ იგი ჩამოვა თავისი გეგმებით და პრინციპებით, ფიქრობს, რომ თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოამზადებს საქართველოს ნაკრებს, მთლიანად მოახმარს მას თავის ცოდნა-გამოცდილებას, ფრთებს შეასხამს სერიოზულ გეგმებს. ამასთან, მისი ჩამოსვლით საქართველო მოექცევა მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში — დაიგეგმება საერთაშორისო ამხანაგური მატჩები, ტურნირები, მოეწყობა კონგრესები, სემინარები და ა.შ. ამასთან, წარმოიდგინეთ, კაცი, რომელიც მენოტის მარჯვენა ხელი იყო, რომელიც ხელმძღვანელობდა აგრეთვე სელექციას და რომლის აზრს დიდ პატივს სცემდა დიდი არგენტინელი სპეციალისტი მენოტი, როგორ აამაღლებს საქართველოს არა მხოლოდ საფეხბურთო ავტორიტეტს.

● ***კი მაგრამ, ისეთი მაღალი დონის საფეხბურთო სპეციალისტი, როგორიც როდრიგესია, ხომ ძალიან ძვირად ფასობს. გაუწვდებით კი?***

— შემიძლია თქვენც და ყველა დავამშვიდო — ეს კაცი არ ჩამოდის ფულის საშოვნელად, მშვენივრად იცის ჩვენი გაჭირვების შესახებ და ამის თქმა თავად დამასწრო. იქვე დასძინა, რომ ეამაყება იმუშაოს ისეთ ქვეყანაში, რომელსაც მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე უდგას სათავეში.

● ***როგორ ფიქრობთ, დაიწყებს მასთან მოლაპარაკებას ჩვენი ფედერაცია?***

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, თუმცა, სფფ, სპორტის დეპარტამენტი და ქვეყნის პრეზიდენტი საქმის კურსშია. თუ მანამდე არა, ალბათ ბუენოს-აირესში გამართული კონგრესის დღეებში ბევრი რამ გახდება ცნობილი, იქ ხომ ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელებიც იქნებიან მიწვეულნი. მაპატიეთ, წინა შეკითხვაზე პასუხი ბოლომდე არ გამიცია, ანაზღაურებაზე მკითხეთ. რამდენადაც ვიცი, როდრიგესი თავისი ორი თანმხლები სპეციალისტით, წელიწადში თანხმა იქნება 400 ათას დოლარზე., რაც ერთი ევროპელი საშუალო დონის სპეციალისტის წლიური ანაზღაურებაა. ჩვენს შემთხვევაში კი, არ დაგავიწყდეთ, ლაპარაკია სამ მოწვეულ სპეციალისტზე. მაგრამ ისე არავინ გაიგოს, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად მხოლოდ ორივე მხარის დაუსწრებელი თანხმობა იქნება საკმარისი, ადგება როდრიგესი და ჩამოვა. არა, ამას წინ უნდა უსწრებდეს ოფიციალური მოლაპარაკებები არგენტინაში, დეტალების, გარანტიების გაანალიზება შეთანხმებამდე და ა.შ. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს.

● ***როდრიგესი მუშაობდა მწვრთნელად ცნობილ სესარ ლუის მენოტისთან, ხომ არ იცით, გაანდო მას თავისი განზრახვა როდრიგესმა?***

— მას შემდეგ, რაც „ლელოში" გამოქვეყნდა „ინტერვიუ ინტერნეტით" როდრიგესთან, თქვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემამდე იგი შეხმიანებია თავის დიდ მეგობარს და მენოტიც კმაყოფილი დარჩენილა ქართველი ერის დაინტერესებით არგენტინის ფეხბურთისადმი და მხარი დაუჭერია საქართველოში მისი შესაძლო მიწვევისათვის.

● ***„ლელოს" მეორე „ინტერვიუ ინტერნეტით" შედგა ედუარდო დელგადოსთან, რომელიც არგენტინის ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრის გენერალური დირექტორი და მთავარი მწვრთნელია. ამ ცენტრში საქართველოდან ფეხბურთის ცოდნას და ოსტატობას უკვე ორი ქართველი ახალგაზრდა იმაღლებს თქვენი რეკომენდაციით. ერთი მათგანი — ჯვარშეიშვილი ახლახან თბილისში ჩამოვიდა რამდენიმე დღით, არდადეგებზე. რა გითხრათ, კმაყოფილია?***

— ძალიან კმაყოფილია. თქვა, რომ თავს იქ ისე გრძნობს, როგორც საქართველოში და საკუთარ სახლში. შეეჩვია რეჟიმს. მერწმუნეთ, არგენტინელები და ქართველები მართლაც ძალიან ახლოს არიან სულიერად ერთმანეთთან.

● ***კარგით. ახლა ამას დავჯერდეთ. დავჯერდეთ იმ იმედით, რომ ახლო მომავალში კვლავ შევხვდებით. ძალიან საინტერესო იქნება ყოფილი საბჭოთა სივრციდან, მათ შორის საქართველოდან, რამდენ სპეციალისტს წაუძღვებით კონგრესზე არგენტინაში.***

— გმადლობთ, მზად ვარ გემსახუროთ.

***ესაუბრა თ. თომაშვილი***

## თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!

***1. ვინ იყო ტაშკენტში, 1964 წელს, 18 ნოემბერს საბჭოთა კავშირის საჩემპიონო მატჩში მთავარი მსაჯი?***

ა) — სტრეცისი
ბ) — რუბენისი
გ) — ტიტარენკო

***2. რომელ წელს გამართა სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი მატჩი ევროპის თასებისა და ჩემპიონატების ისტორიაში?***

ა) — 1958 წელს
ბ) — 1959 წელს
გ) — 1960 წელს

***3. რომელ წელს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი?***

ა) — 1956 წელს
ბ) — 1957 წელს
გ) — 1958 წელს

***4. რომელ წელს დაასახელეს ოლეგ ბლოხინი ევროპის თასების თასზე და სუპერთასზე კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად?***

ა) — 1975 წელს
ბ) — 1976 წელს
გ) — 1977 წელს

***5. ოფიციალურად რომელ წელს დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი?***

ა) — 1934 წელს
ბ) — 1935 წელს
გ) — 1936 წელს

**„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები:**

1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

# ევროპულ ტურნირებზე

**სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს ევროპული საფეხბურთო ტურნირების მატჩები ტარდება. ევროპის ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩებში ერთმანეთს ხვდებიან**

**12 აგვისტო**

დინამო (უკრაინა) — დინამო (ხორვატია)
სელტა (ესპანეთი) — სლავია (ჩეხეთი)
გრაცერი (ავსტრია) — აიაქსი (ჰოლანდია)

**13 აგვისტო**

ანდერლეხტი (ბელგია) — ვისლა (პოლონეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) — დეპორტივო (ესპანეთი)
ვარდარი (მაკედონია) — სპარტა (ჩეხეთი)
მ.ტ.კ. (უნგრეთი) — სელტიკი (შოტლანდია)
რეინჯერსი (შოტლანდია) — კოპენჰაგენი (დანია)
აუსტრია (ავსტრია) — მარსელი (საფრანგეთი)
ბრიუგე (ბელგია) — დორტმუნდი (გერმანია)
შახტარი (უკრაინა) — ლოკომოტივი (რუსეთი)
ლაციო (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — აეკი (საბერძნეთი)
პარტიზანი (სერბეთი) — ნიუკასლი (ინგლისი)
გალათასარაი (თურქეთი) — ცსკა (ბულგარეთი).
ჟილინა (სლოვაკეთი) — ჩელსი (ინგლისი)

**აქვე გაგაცნობთ უეფას თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წყვილების შეხვედრების განრიგს.**

**12 აგვისტო**

სარაევო (ბოსნია) — სარტიდი (სერბეთი)
ჰაკა (ფინეთი) — ჰაიდუკი (ხორვატია) ლა ვალეტა (მალტა) — ქსამაქსი (შვეიცარია)

**13 აგვისტო**

ვენტსპილსი (ლატვია) — პლოცკი (პოლონეთი)

**14 აგვისტო**

ტორპედო (რუსეთი) — დომანიონი (სან მარინო)
ჟიეკოვი (ჩეხეთი) — ჟენისი (ყაზახეთი)
გროცლინი (პოლონეთი) — ატლანტასი (ლატვია)
დინამო (ალბანეთი) — ლოკერენი (ბელგია)
ქუიმბრანი (უელსი) — მაკაბი (ჰაიფა)
პუბლიკუმი (სლოვენია) — ბელასიცა (ბულგარეთი)
ცემენტარნიცა (მაკედონია) — კატოვიცე (პოლონეთი)
პუხოვი (სლოვაკეთი) — სიონი (საქართველო)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — ნისტრუ (მოლდოვა
ეკრანასი (ლიტვა) — დებრეცენი (უნგრეთი)
ბირკირკარა (მალტა) — ფერენცვაროში (უნგრეთი)
ატირაუ (ყაზახეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)
ოლიმპია (სლოვენია) — შელბურნი (ირლანდია)
ლანსი (საფრანგეთი) — .ტორპედო (საქართველო)
ფარუმი (დანია) — შირაქი (სომხეთი)
პეტრჟალკა (სლოვაკეთი) — დუდელანჟი (ლუქსემბურგი)
რუნავიკი (ფარერები) — ლინი (ნორვეგია)
აპოელი (კვიპროსი) — დერი (ირლანდია)
ლიტექსი (ბულგარეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა)
ნემანი (ბელარუსი) — სტიაუა (რუმინეთი)
ეტზელა (ლუქსემბურგი) — კამენი (ხორვატია)
სიტი (ინგლისი) — ტნს (უელსი)
მიოლდე (ნორვეგია) — კლაკსვიკარი (ფარერები)
ოდენსე (დანია) — ტულევიკი (ესტონეთი)
აიკი (შვედეთი) — ფილკირი (ისლანდია)
ვლაზნია (ალბანეთი) — დანდი (შოტლანდია)
ლევადია (ესტონეთი) — ვარტექსი (ხორვატია)
ესბიერგი (დანია) — სანტა კოლომა (ანდორა)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — ანორთოსისი (კვიპროსი)
ჰაპოელი (ტელ-ავივი) — ბანანცი (სომხეთი)
ბრონდბიუ (დანია) — დინამო (ბელარუსი)
მალმიო (შვედეთი) — პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია)
დინამო (რუმინეთი) — მეტალურგსი (ლატვია)
კარნტენი (ავსტრია) — გრინდავიკი (ისლანდია)
მიუპა (ფინეთი) — იანგ ბოიზი (შვეიცარია)
ვადუცი (ლიხტენშტეინი) — დნიპრო (უკრაინა)
კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) — ლეირია (პორტუგალია)

**დღესვე გაიმართება ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩები:** პაშინგი (ავსტრია) — შალკე (გერმანია), „პერუჯა" (იტალია) — „ვოლფსბურგი" (გერმანია), „ჰერენვენი" (ჰოლანდია) — „ვილიარეალი" (ესპანეთი).

## საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის 80 წლისთავისათვის



**რუბრიკას უძღვება ვეტერანი მსაჯი ელდარ ჩიფჩიური**

## საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლას შეწირული

**მოვკიდე კალამს** ხელი, მინდა გურამ გაბისკირიაზე დავწერო და უცებ ვიგრძენი რაღაც ყრუ, გაუგებარი უხერხულობა, სევდა მომეძალა. თითქოს შიშმაც შემიპყრო. შიშმა იმისა, რომ მის შესახებ მკითხველს იმდენს ვერ მოვუყვები, რაც და რამდენიც მან გააკეთა სამშობლოსათვის, მეგობრებისათვის, ოჯახისა და თავისი საყვარელი ფეხბურთისათვის. გურამ გაბისკირია მარტო ამ პატარა წერილს არ იმსახურებს. მასზე დიდი წიგნი უნდა დაიწეროს. ის მეტად ფართო მასშტაბის კაცი იყო. ზნეობა, სიკეთე, მიმნდობი ბუნება, მეგობრობის დიდი გრძნობა და ბოლოს მტკიცე ვაჟკაცური ხასიათი. იყო საწაულად ენამახვილი. მასთან კაცი არ მოიწყენდა. ლხინში მასზე უკეთესს ვერ ინატრებდიო, ახლაც გულდაწყვეტით იგონებენ მისი მეგობრები.

გურამ გაბისკირიას კარგი, ობიექტური და პატიოსანი მსაჯის სახელიც ჰქონდა. რესპუბლიკური, შემდგომში კი საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იოლად თუ ძნელად სამსაჯო მატჩებს. ის შეუვალი და მეტად პრინციპული იყო ფეხბურთის მოედანზე მაშინაც კი, როცა გუნდში მწვრთნელი ან ფეხბურთელები მისი მეგობრები იყვნენ.

ერთხელ, ქ. სტავროპოლში მეტად საპასუხისმგებლო მატჩზე მიავლინეს. სტავროპოლის გუნდი წაგების შემთხვევაში ლიგას ტოვებდა. მატჩის წინ იქაური მისი მეგობარი ბიზნესმენი მისულა და დახმარება უთხოვია. თამაში მძაფრ ბრძოლაში წარმართულა და მაინც სტავროპოლელთა გამარჯვებით დამთავრებულა. მატჩის შემდეგ ის კაცი მისულა და ფული შეუთავაზებია. გურამი მკვახედ შეხვედრია და უთქვამს: „დაიმახსოვრე, მეგობრობას ფულზე არ ვცვლიო". ისე სწყენია, მისთვის სპეციალურად გაწყობილ სუფრაზეც არ გაჰყოლია.

გურამი სოხუმის დაცემამდე, ქალაქის მერის თანამდებობაზე მუშაობდა. ის ამავე დროს „ცხუმის" ფეხბურთელთა გუნდის პრეზიდენტიც იყო.





*მარცხნიდან: გურამ გაბისკირია, ანატოლი მილჩენკო და უშანგი ფურცელაძე*

უყურადღებოდა არ ტოვებდა. დიდ დახმარებას უწევდა მსაჯებსაც, რომლებიც იმ არეულობის პერიოდში საზღვარზე ფეხით გადადიოდნენ და ისე ჩადიოდნენ სოხუმში. იმხანად „ცხუმმა" საქართველოს თასზე ითამაშა რუსთავში. სოხუმში დაბრუნების მეორე დღეს ატყდა ომი, დაზავების შემდეგ კვლავ დაიწყო დაბომბვა. გურამს მეტი გზა არ ჰქონდა, გუნდის ევაკუირება სასწრაფოდ უნდა მოეხდინა. ჩასხა ავტობუსში და სვანეთის გზით გაიყვანა სამშვიდობოს. თვითონ გამოემშვიდობა და უკან დაბრუნდა. ქიული შარტავას უნდა შეხვედროდა. მის შემდეგ ის აღარავის უნახავს. ამბობენ, ენით აღუწერელი წამებით მოუკლავთო. შეიძლება ხიფათში სხვას არც ჩაეგდო თავი. შეუპოვრობას გამოიჩენდა მხოლოდ ისეთი ძლიერი პიროვნება, როგორიც გურამ გაბისკირია იყო. ასეთები, ალბათ, პატრიოტებად იბადებიან. ის ნამდვილი გმირი იყო.

ისე წავიდა, ოჯახსაც არაფერი დაუტოვა. ერთი მოახერხა მხოლოდ. თბილისში ბოლომდე სწორედ მან შეინარჩუნა ეს გუნდი. დაშლას მან გადაარჩინა. როცა გუნდი თბილისში ცხოვრობდა, ის დროს მაინც პოულობდა და ერთოთახიანი გაურემონტებელი ბინა ჰქონდა შეძენილი.

ნათელი დაადგეს მის ვაჟკაცურ სულს.





თბილისის „დინამო" - 1964
ქვეყნდება პირველად

## შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა: გთხოვთ გვიპასუხოთ, საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს ვინ ედგა სათავეში ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ?**

**ზაზა ზოიძე (რუსთავი)**

**პასუხი:** თქვენ ალბათ მხედველობაში გყავთ ნაკრების უფროსი მწვრთნელები. თანმიმდევრობით ესენი იყვნენ: გივი ნოდია, ანატოლი ნორაკიძე, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, იოჰან ბოსკამპი, ძოძუაშვილი-ყიფიანი, ჩივაძე და შუშაკი. ახლა ნაკრებს დროებით ხელმძღვანელობს...

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლევერკუზენის „ბაიერი“ ქულათა მაქსიმუმით მიიწევს

გასულ შაბათს და კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მატჩები ფეხბურთში. ***გერმანიის ბუნდესლიგის*** მეორე ტურში მიუნხენის „ბაიერნი“ პირველი ტაიმის შემდეგ 1-3 აგებდა სტუმრად „ჰანოვერთან“, მაგრამ მეორე ტაიმში პისარომ და ჰარგრივსმა შეძლეს ქულის გადარჩენა (3-3).

ვერ მოიგო „მიუნხენთან“ კობიაშვილის „შალკემ“. ის კი არა, როტის გოლით „მიუნხენი“ დაწინაურდა კიდეც, მეორე ტაიმში როდრიგესმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

ამ მატჩში „შალკეს“ შემადგენლობა ასეთი იყო: როსტი, ჰაიტო, როდრიგესი (ტროიანი, 85), მატელანი, ვან კერკჰოვენი, კლასენერი, პოულსენი, კობიაშვილი, ზაიტცი, ჰანკე (აგალი, 10), სანდი (ალთინთოფი, 72).

ჯერჯერობით ვერ გააქვს გოლები იაშვილს. მისმა „ფრაიბურგმა“ საკუთარ მოედანზე ფრეს მიაღწია „ჰანზასთან“, არადა, პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრები 2-0-ს იგებდნენ, მაგრამ კულიბალმა და ბაირამოვიჩმა შეძლეს „ფრაიბურგისათვის“ ქულა დაეტოვებინათ. „ფრაიბურგის“ შემადგენლობა: გოლცი, რიტერი, კონდე, დიარა, ცქიტიშვილი, ცაიერი (ბერნერი, 74), ბაირამოვიჩი, ტანკო, (ვილი, 46), კულიბალი, კაირო (გუე-მინი, 67), იაშვილი.

ბრემენის „ვერდერმა“ ვერ შეძლო „მიონხენგლადბახის“ დამარცხება. არადა, ბრემენელები 81-ე წუთამდე 1-0 იგებდნენ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ვან პუტიმ ანგარიში გაათანაბრა.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ შინ 4-0 გაანადგურა „ვოლფსბურგი“. ჯერჯერობით, მატჩი ვერ მოიგო „ჰამბურგმა“, რომელიც გერმანიის ჩემპიონატის დაწყებამდე წარმატებული ასპარეზობით გამოირჩეოდა. „ჰამბურგი“ სტუმრად ფრეს დასჯერდა „ბოხუმთან“ (1-1). შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ გერმანიის ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა ლევერკუზენის „ბაიერი“, რომელმაც სტუმრად 2-1 მოუგო მიუნხენის „აინტრახტს“.

***დანარჩენი მატჩები:*** „კიოლნი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 1-2, „შტუტგარტი“ — „ჰერტა“. 0-0.

***მეორე ბუნდესლიგაში*** ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (6-6) დაწინაურდნენ „უნტერჰახინგი“, „ნიურნბერგი“ და „ტრილი“.

**საფრანგეთის ჩემპიონატის** მეორე ტურში მარსელის „ოლიმპიკმა“ კვლავ გაიმარჯვა. ამჯერად საკუთარ მოედანზე მიდოს მიერ 58-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით სძლია „ოსერს“. ასეთივე ანგარიშით „ნიცამ“ დაამარცხა „სოშო“ (თავი გამოიჩინა ევერსონმა).

***სხვა მატჩები:*** „ლილი“ — პსჟ 1-0, „ლიონი“ — „მონაკო“ 3-1, „ნანტი“ — „ლანსი“ 2-0, „ბორდო“ — „მონპელიე“ 0-1, „სტრასბური“ — „გინგამი“ 2-0, „რენი“ — „ტულუზა“ 1-0, „ბასტია“ — „მეცი“ 0-2, „ლემანი“ — „აიაჩო“ 0-1.



ორი ტურის შემდეგ 6-6 ქულით დაწინაურდნენ „ნიცა“, „მარსელი“, „ლილი“, და „აიაჩო“.

დაიწყო **ინგლისის პირველი დივიზიონის** ჩემპიონატი. გიორგი ქინქლაძის ყოფილმა გუნდმა „დერბიმ“ შინ გამანადგურებელი მარცხი იწვნია „სტოკთან“ შეხვედრაში.

***დანარჩენი მატჩები:*** „პრესტონი“ — „ვესტ ჰემი“ 1-2, „ბრედფორდი“ — „ნორვიჩი“ 2-2, „ბარნლი“ — „კრისტალ პალასი“ 2-3, „იფსვიჩი“ — „რედინგი“ 1-1, „მილუოლი“ — „უიგანი“ 2-0, „როტერჰემი“ — „კარდიფი“ 0-0, „შეფილდი“ — „ჯილინგემი“ 0-0, „უოლსოლი“ — „ვესტ ბრომვიჩი 4-1, „უიმბლდონი“ — „ქრიუ“ 3-1, „ნოტინგემი“ — „სანდერლენდი“ 2-0.

**ბელგიის ჩემპიონატი** გამარჯვებით დაიწყო „ბრიუგემ“, რომელმაც მენდოსას ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა „გენკი“. „ანდერლეხტმა“ 3-1 მოუგო „ანტვერპენს“, „ლიერსმა“ სტუმრად მინიმალური ანგარიშით (1-0) სძლია „შარლერუას“.

***სხვა მატჩები:*** „ბეერსხოტი“ — „მონსი“ 1-0, „ლოკერენი“ — „სტ. ტრუიდენი“ 0-0, „ვესტერლო“ — „ლა ლუვიერი“ 0-0, „ბევერენი“ — „გენტი“ 2-4, „ჰოიზდენი“ — „სერკლი“ 0-0, „მუსკრონი“ — „ლიეჟი“ 2-2.

დაიწყო **შოტლანდიის ჩემპიონატიც.** პირველ ტურში სენსაციური შედეგით (0-0) დასრულდა შეხვედრა „დანფერმლაინსა“ და „სელტიკს“ შორის.

სამაგიეროდ, „რეინჯერსმა“ 4-0 გაანადგურა „კილმარნოკი“. გოლები გაიტანეს ლოვენკრანდსმა, მოლსმა, პტეტამ (ორჯერ).

შოთა არველაძეს ტრავმის გამო არ უთამაშია. ზურაბ ხიზანიშვილმა კი 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

***სხვა მატჩები:*** „დანდი იუნაიტედი“ — „ჰიბერნიანი“ 1-2, „ჰართსი“ — „აბერდინი“ 2-0, „მოზერვილი“ — „დანდი“ 0-3, „პარტიკი“ — „ლივინგსტონი“ 1-1.

**რუსეთის ჩემპიონატის** მორიგ ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა ცსკა-მ საკუთარ მოედანზე გაანადგურა „ალანია“ — 3-0. ცსკა-ს ახლა 21 თამაშიდან 44 ქულა აქვს და 7 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს „სატურნს“, რომელმაც თავის მხრივ 2-1 მოუგო „როსტოვს“.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ კი მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად მოკრძალებული ანგარიშით (1-0) დაამარცხა „ჩერნომორეცი“. ამ მატჩში მიხეილ აშვეთიას გოლი არ გაუტანია. „ლოკომოტივი“ უკვე მიუახლოვდა ლიდერებს.

***სხვა მატჩები:*** „სპარტაკი“ — „როტორი“ 3-2, „ტორპედო“ — „ზენიტი“ 1-1, „კრილია“ — „მეტალურგი“ 2-0, „რუბინი“ — „დინამო“ 2-1, „შინიკი“ — „ურალანი“ 2-1.

## ბელარუსებმა რომანცევს ბაიდაჩნი არჩიეს



*რომანცევი ისევ უმუშევარია*

ანატოლი ბაიდაჩნი დაინიშნა ბელარუსის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. სწორედ ეს სპეციალისტი ჩაამთავრებს ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევ ციკლს, ხოლო პარალელურად იმუშავებს მინსკის „დინამოსთან“ ქვეყნის ჩემპიონატის ბოლომდე, რის შემდეგაც კლუბს დატოვებს და მთელ ყურადღებას დაუთმობს ქვეყნის ნაკრებს.

საინტერესოა, რომ ბელარუსის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტის კანდიდატებად, აგრეთვე მოიაზრებოდნენ ანატოლი ბიშოვეცი, ოლეგ რომანცევი, ბორის იგნატიევი და იოზეფ ხოვანეცი.

ბოლო დროს პრესაში ხშირად ჩნდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილ მწვრთნელთან ოლეგ რომანცევთან, თუმცა, ბოლო მომენტში არჩევანი ბაიდაჩნიზე შეაჩერეს. ნაკრების წინა თავკაცი პოსტიდან გადადგა იმიტომ, რომ გუნდმა ბოლო 6 შესარჩევ შეხვედრაში ხუთი მარცხი იწვნია.

„ფაქტიურად ახალი გუნდი უნდა ჩამოყალიბდეს, წინააღმდეგნი ვართ ნაკრებთან დაკავშირებით ყოველგვარი ექსპერიმენტების ჩატარებისა. ქვეყნის უმთავრეს გუნდში მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ. მოვიწვევ მოთამაშეთა სამ კატეგორიას, ლეგიონერებს, საშინაო ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს, აგრეთვე, აღმოსავლეთ ევროპაში შევარჩევ ისეთ ფეხბურთელებს, რომელთაც ნაკრების დონეზე ჯერ რომ არ უთამაშიათ“, — განაცხადა ანატოლი ბაიდაჩნიმ.

აქვე გაცნობებთ, რომ 6 სექტემბერს ბელარუსები ჩეხეთის ნაკრებს ხვდებიან, ოთხი დღის შემდეგ კი - მოლდოვას გუნდს.

## „დაჩია“ მოლდოვას ჩემპიონატში თამაშზე დაიყოლიეს

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ მოლდოვას საფეხბურთო კლუბმა „დაჩიამ“ გაურკვეველი მიზეზების გამო უარი განაცხადა ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობაზე. ამ გუნდმა საფეხბურთო სამყარო გააკვირვა ინტერტოტოს თასზე შესანიშნავი თამაშით და ცხადია, მისი არყოფნა სერიოზული დანაკლისი იქნებოდა მოლდოვას ჩემპიონატისათვის. გუშინწინ, როგორც ჩანს, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მოაგვარა ურთიერთობის საკითხი ამ გუნდთან და „დაჩიაც“ დათანხმდა ითამაშოს ეროვნულ ჩემპიონატში. ერთი რამ მაინც გაურკვეველი დარჩა საზოგადოებისათვის: რა იყო „დაჩიას“ გაფიცვის მიზეზი?**

## სამხრეთ აფრიკის ნაკრების სნაიპერი ავტოკატასტროფაში დაიღუპა

სამხრეთ აფრიკაში, ქალაქ მუსინასთან ახლოს მომხდარ ავტოკატასტროფაში დაიღუპა სამხრეთ აფრიკის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი, ადგილობრივი კლუბის — „ორლანდო პირატესის“ 21 წლის მოთამაშე ლესლი მანიატელა. ეს პერსპექტიული ფეხბურთელი ჯერ, კიდევ გასულ კვირაში იმყოფებოდა გასინჯვაზე ფრანგულ „ლიონში“. მშობლიურ გუნდში დაბრუნების შემდეგ, ქვეყნის თასის გათამაშების მორიგ მატჩში გოლიც გაიტანა, მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ კი საკუთარი მანქანის საჭესთან დაიღუპა.

მანიატელას სამხრეთ აფრიკის ნაკრებში 63 მატჩი ჰქონდა ჩატარებული და მეტოქეთა კარში 40 გოლი გატანილი.

## „იუვენტუსს“ ფორსელი და გრონკიაერი სურს

**ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ მოლაპარაკებები დაიწყეს „ჩელსისთან“ თავდამსხმელ მაიკლ ფორსელისა და ნახევარმცველ იესპერ გრონკიაერის შეძენისათვის. ორივე ფეხბურთელი ინგლისურ კლუბს აღარ სჭირდება პრაქტიკულად მას შემდეგ, რაც მისმა ახალმა მფლობელმა აბრამოვიჩმა ახალი ფეხბურთელები იყიდა. ზოგიერთი საინფორმაციო საიტის ცნობით, ზემოაღნიშნული ორი ფეხბურთელის სანაცვლოდ, „იუვენტუსმა“ „ჩელსის“ შესაძლოა შესთავაზოს ედგარ დავიდსი და ლილიან ტიურამი.**

## ახალი სტადიონი გამარჯვებით დააჭაშნიკეს

ინგლისურმა საფეხბურთო კლუბმა „მანჩესტერ სიტიმ“ ახალი საკუთარი სტადიონის გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაურთო ამხანაგურ მატჩში გამარჯვება ევროპული ფეხბურთის გრანდთან „ბარსელონასთან“ (2-1). ანგარიში 34-ე წუთზე ანელკამ გახსნა. მეორე ტაიმის დასაწყისში სავიოლამ წონასწორობა აღადგინა, თუმცა მალევე „სიტის“ ახალწვეულმა სინკლერმა გამარჯვების გოლი გაიტანა „ბარსელონას“ კარში.

## აიალა «ლივერპულში» მიდის

**„ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა, რომ ამ კვირაში აპირებს კონტრაქტი გააფორმოს „ვალენსიის“ ყოფილ ფეხბურთელთან აიალასთან. სატრანსფერო თანხამ, როგორც ინგლისური გაზეთი „სანი“ იუწყება, მილიონი ფუნტი შეადგინა.**

## მატჩი საბერძნეთის სუპერთასზე ჩაშლის პირასაა

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ, სტადიონზე უწესრიგობის თავიდან აცილების მიზნით, ქვეყნის სუპერთასისთვის მატჩის (ჩემპიონ „ოლიმპიაკოსსა“ და „პაოკს“ შორის) კვიპროსზე გამართვა გადაწყვიტა, მაგრამ ამ ქვეყნის ფედერაციამ ასეთი მატჩის მასპინძლობაზე უარი შეუთვალა ბერძნებს.

აქვე გეტყვით, რომ ეს შეხვედრა 7 აგვისტოსთვის იყო დანიშნული.

## ვერონი არგენტინის ნაკრებს უბრუნდება



**არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავი ხუან სებასტიან ვერონი, რომელმაც გასულ კვირას კონტრაქტი გააფორმა აბრამოვიჩის „ჩელსისთან“, კვლავ გამოიძახეს მშობლიური ქვეყნის ნაკრებში. აქვე გაცნობებთ, რომ 20 აგვისტოს არგენტინის ნაკრები საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს ურუგვაელებთან.**

## გენერალური რეპეტიცია



უბექჰემოდ დარჩენილმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „არსენალთან“ ორთაბრძოლაში ინგლისის „სუპერთასი“ მოიპოვა და ერთგვარი გენერალური რეპეტიცია გამოუვიდა პრემიერლიგის ჩემპიონატის დაწყების წინ.

მატჩის მე-15 წუთზე ანგარიში სილვესტრმა გახსნა. ეს უპირატესობა ფერგიუსონის გუნდმა 5 წუთში ხელიდან გაუშვა — მე-20 წუთზე ტიერი ანრიმ წონასწორობა აღადგინა.

დარჩენილ 70 წუთში ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შანსები, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა და საქმე დამატებით დრომდე მივიდა. გამარჯვებული ვერც აქ გამოვლინდა. პენალტების სერიაში კი 4-3 გაიმარჯვა „მანჩესტერ იუნაიტედმა“.

გუნდების შემადგენლობა.

**„მანჩესტერ იუნაიტედი“:** ჰოვარდი, ფ. ნევილი (ფორლანი, 78), სილვესტრი, ფერდინანდი, ფორჩუნი (ოში, 69), სქოულზი, გიგზი, ბატი (ჯემბა-ჯემბა, 61), კინი, ვან ნისტელროოი, სოლსკიაერი.

**არსენალი:** ლემანი, ე. კოული, კემპბელი, ლორენი, ტურე, ვიეირა, ჟილბერტუ სილვა (ედუ, 61), ლიუნგბერგი (ვან ბრონკჰორსტი), კარლორი, (პირესი, 46), ანრი (ვილტორი, 46), ბერხკამპი (ჯეფერსი, 60).

### რა არ ხდება?

## რონალდოს ოქროს უნიტაზი აჩუქეს

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს რონალდოს, ჰონკონგის ერთ-ერთი საიუველირო მაღაზიის მეპატრონემ აჩუქა... უნიტაზი, რომელიც სუფთა ოქროსგანაა დამზადებული. ასე რომ, რონალდოს შინ მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ტუალეტი ექნება. მაღაზიაში გამოტანილი ნამდვილი უნიზატის სრული მოწყობილობა 380 კგ-ს შეადგენს და მისი ღირებულება 55 მილიონი ჰონკონგის დოლარია (დაახლოებით 7 მილიონი აშშ დოლარი), რონალდოს კი მინიატურული ოქროს უნიტაზი გადასცეს, რომლის ღირებულება 2 ათასი აშშ დოლარია.

## დესაიმ „ჩელსისთან“ კონტრაქტი გააგრძელა

**საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ ცენტრალურმა მცველმა მარსელ დესაიმ კლუბთან დადებული კონტრაქტი 2005 წლამდე გააგრძელა. 35 წლის ვეტერანის განცხადებით, მას გუნდში დარჩენის სურვილი „ჩელსის“ ახალი მფლობელის – აბრამოვიჩის აქტიურმა სატრანსფერო პოლიტიკამ გაუჩინა.**

**„ეს იმას ნიშნავს, რომ მე დავასრულებ კარიერას „ჩელსიში“, როგორც ევროპული ფეხბურთის გრანდში“ – განაცხადა დესაიმ.**



მარსელ დესაი

# ნბა

## ლეგენდალური სტივ კერი ტელეკომენტატორი ხდება



ნბა-ს ხუთგზის ჩემპიონმა სტივ კერიმ გადაწყვიტა დაასრულოს თავისი სპორტული კარიერა და ბედი სცადოს ტელეკომენტატორობაში. ის ტელეკომპანია „ტიენ-ტი"-ში მიიწვიეს.

აქვე გეტყვით, რომ სტივ კერიმ ნბა-ში 14 სეზონი გაატარა. ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა სამქულიან ტყორცნებში. ბოლოს ნბა-ს ჩემპიონის ტიტული „სან-ანტონიოსთან" ერთად მოიპოვა.

## რეჯი მილერის მეჩვიდმეტე გაელვება

როგორც ნბა-ს კლუბ „ინდიანას" ხელმძღვანელმა დონი უოლშმა განაცხადა, მცველი რეჯი მილერი კვლავ გააგრძელებს კონტრაქტს გუნდთან, რადგან კალათბურთელს სხვა გუნდებიდან წინადადებები არ ჰქონია, ეს კი ასაკის ბრალია — მილერს ამ თვეში 38 წელი უსრულდება.

აღსანიშნავია, რომ რეჯი მილერი „ინდიანას" ისტორიაში საუკეთესო სნაიპერია, ნბა-ს ისტორიაში კი საუკეთესო კალათბურთელთა სიაში მეთხუთმეტე ადგილზე იმყოფება. ნბა-ში გატარებულ 16 სეზონის განმავლობაში 23505 ქულა მოაგროვა. სხვათა შორის, რეკორდიც დაუმყარებია სამქულიან სროლებში — 7 მეტრის გარე ზონიდან მისი ხელიდან ნატყორცნმა ბურთმა 2330-ჯერ მიაღწია მიზანს.

## ტაბლოს შეცდომამ უშველათ...

**პანამერიკული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ კალათბურთელ ქალთა ტურნირის ნახევარფინალური მატჩების შემდეგ მოხდა სკანდალი.**

**ბრაზილიის ოლიმპიურმა კომიტეტმა პროტესტი განაცხადა და მოითხოვა ფინალური მატჩის გადათამაშება. ბრაზილიური მხარე ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან შეხვედრის დროს ტაბლოზე დაშვებული იყო შეცდომები და ქულების ზუსტი რაოდენობის მიხედვით გამარჯვებული ბრაზილიის ნაკრებია, მაგრამ პანამერიკული თამაშების სამსაჯო კომიტეტმა ბრაზილიელთა პროტესტი არ მიიღო. გაცნობებთ, რომ ამ ტურნირის ფინალში აშშ-ს ქალთა ნაკრები დამარცხდა კუბელებთან — 64:75, ხოლო მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში ბრაზილიელებმა დაამარცხეს კანადის ნაკრები 57:46.**

## პირველად 32 წლის განმავლობაში

**ამერიკული კალათბურთის ისტორიაში უკანასკნელი 32 წლის განმავლობაში პირველად, აშშ-ს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები პანამერიკული თამაშებიდან სამშობლოში უმედლოდ დაბრუნდა.**

**მესამე ადგილისათვის მატჩში აშშ-ს ნაკრები 70:76 დამარცხდა პუერტო რიკოს კალათბურთელებთან. ოქროს მედლები კი წილად ხვდათ ბრაზილიელებს, რომლებმაც ფინალში 89:62 დაამარცხეს ტურნირის მასპინძლები — დომინიკის რესპუბლიკის გუნდი.**

## ანდრე აგასი ძალებს აშშ-ს ღია პირველობისთვის ინახავს

მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ უარი განაცხადა ცინცინატის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე. 33 წლის ჩოგბურთელი თვლის, რომ ამ ასაკში ძალების დაზოგვა საჭიროა ისეთი მნიშვნელოვანი საჩოგბურთო შეჯიბრების წინ, როგორიცაა აშშ-ს ღია პირველობა. შეგახსენებთ, რომ ახლახან მონრეალის საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში აგასი დამარცხდა რაინერ შუტლერთან.

## ბოლოგანის სენსაციური გამარჯვება




მოლდოველმა მოჭადრაკემ ვიორელ ბოლოგანმა სენსაცია მოახდინა: მან დორტმუნდის სუპერტურნირი მოიგო. ბოლოგანი თავიდანვე დაწინაურდა. მის დამაჯერებელ წინსვლას ხელი ვერავინ შეუშალა. ათი ტურის განმავლობაში ბოლოგანმა მოიგო 4 პარტია, 5 ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. მოლდოველმა მოჭადრაკემ 6,5 ქულა დააგროვა და ერთი ქულით გაუსწრო მეორე-მესამე ადგილებზე გასულ ვიშვანათან ანანდსა და ვლადიმირ კრამნიკს. ამ უკანასკნელს ტურნირის ფავორიტადაც მიიჩნევდნენ. კრამნიკს დორტმუნდში ერთი პარტიაც არ წაუგია, მან მხოლოდ ერთის მოგება შეძლო, დანარჩენ 9 პარტიაში (!) კი ყაიმებს დასჯერდა. 5 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა აზერბაიჯანელი თეიმურ რაჯაბოვი, 4 ქულა მოაგროვა ლეკომ, ხოლო ნაიდიჩმა — 3,5 ქულა. საინტერესო ისიცაა, რომ ამ შეჯიბრებაში ლეკომ ერთი პარტიაც ვერ მოიგო და ის ოთხი ქულა მხოლოდ ყაიმების წყალობით მოაგროვა.

## „ფორმულა-1" მონტოია: „თითქმის ყველა გუნდში მიწვევენ"




გერმანიის გრან-პრის გამარჯვებული ხუან პაბლო მონტოია სამკვირიან შვებულებას სამშობლოში — კოლუმბიაში ატარებს, სადაც „უილიამსის" პილოტი გმირადაა შერაცხული. ის კი არა, ქვეყნის პრეზიდენტმა მონტოია თავისთან მიიწვია და განუცხადა, რომ სჯერა, — კოლუმბიელი პილოტი „ფორმულა-1"-ის წლევანდელ ჩემპიონატშიც გაიმარჯვებს. ამას მონტოიამ პრესკონფერენციაზე კომენტარი არ გაუკეთა, ჟურნალისტებს კი მომავალ გეგმებზე ესაუბრა. მონტოიას „უილიამსთან" კონტრაქტი 2004 წლის ბოლოს უმთავრდება და ცხადია, ყველას აინტერესებს, თუ რომელი გუნდის ღირსებას დაიცავს 2005 წლიდან. მისივე თქმით, ის ამჟამად რამდენიმე გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

„ასეთ სიტუაციაში არასოდეს ვყოფილვარ. „ფორმულა-1"-ის თითქმის ყველა გუნდი მეპატიჟება: „ფერარიც", „მაკლარენიც", „ტოიოტაც"... თავის მხრივ „უილიამსიც" მთხოვს კონტრაქტის გაგრძელებას. ფინანსურად ყველაზე მიმზიდველად „ტოიოტას" წინადადება მესახება, თუმცა გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობ", — განაცხადა ხუან პაბლო მონტოიამ.

## კანადის „გრან-პრი" აღარ გათამაშდება?

**„ფორმულა-1"-ის ხელმძღვანელმა ბერნი ეკლსტოუნმა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის კალენდრიდან ამოიღო კანადის „გრან-პრი", რადგან ამ ქვეყანაში თამბაქოს რეკლამა აიკრძალა.**

**ნორტ დამას ტრასა 1967 წელს აშენდა, „ფორმულა-1"-ის ერთ-ერთ ეტაპს კი 1978 წლიდან მასპინძლობდა. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან კანადაში მოქმედებას იწყებს კანონი თამბაქოს აკრძალვის შესახებ, რამაც ამ ქვეყანას ესოდენ უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიება დააკარგვინა, რადგან „ფორმულა-1"-ის გუნდების უმრავლესობის სპონსორები თამბაქოს მსხვილი მწარმოებლები არიან და ბოლიდებსაც სიგარეტის რეკლამა ამშვენებთ.**

**ბოლო ინფორმაციით, ოფიციალურად კანადის „გრან-პრი" ჯერ არ ამოუღიათ „ფორმულა 1"-ის საგაისო კალენდრიდან.**

## რუსეთის ჩემპიონატზე უნიკალური რეკორდი დამყარდა

რუსმა მორბენალმა ქალმა იულია პეჩენკინამ უნიკალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრ დისტანციაზე წინაღობების გადალახვაში. რეკორდი დამყარდა ტულაში გამართულ რუსეთის მძლეოსანთა ჩემპიონატზე.

შესარჩევ ეტაპზე პეჩენკინამ 53,52 წამი აჩვენა, რაც მსოფლიოში საუკეთესო იყო, მაგრამ ფინალურ გარბენში შეუძლებელი მოახერხა, მან 400 მეტრი წინაღობებით 52,34 წამში გადალახა. მსოფლიოს წინა რეკორდი ეკუთვნოდა ამერიკელ კიმ ბატენს, რომელმაც 52,61 წამი აჩვენა რვა წლის წინათ გეტებორგში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე.




## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**12 აგვისტო, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (21.50), ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (10.35), ***ევრიკა.*** „სპორტის სამყარო" (21.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). *НТВ плюс футбол.* გავიხსენოთ განვლილი სეზონი. ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ფულჰემი" (13.15). გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.00), „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი. „ბარსელონა" — „ჩელსი" (16.00). გავიხსენოთ განვლილი სეზონი. ესპანეთის ჩემპიონატი. „დეპორტივო" — „სელტა" (18.00), „განვლილი კვირის ჰიტ-პარადი" (20.05). ჩემპიონთა ლიგა. მესამე შესარჩევი რაუნდი. პირდაპირი ტრანსლაცია (21.55), „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 99/00 სეზონი. „მანჩესტერ იუნაიტედი" — „რეალი" (23.50). *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (11.45, 22.00). მძლეოსნობა, საერთაშორისო შეჯიბრება (15.55), ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი (20.30). საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (0.45). კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური ფინალები (1.30). EUROSPORT. მძლეოსნობა. სპრინტერები (12.30, 14.00, 1.30) ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. გრან-პრი (13.00, 17.30), ჩოგბურთი WTA (18.30, 22.00), ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. (23.30).

**13 აგვისტო, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა. მე-3 შესარჩევი რაუნდი. პირდაპირი ტრანსლაცია (13.15). გავიხსენოთ განვლილი სეზონი. იტალიის ჩემპიონატი. „უდინეზე" — „მილანი" (15.00), ესპანეთის ჩემპიონატი. „ატლეტიკო" — „რეალ სოსიედადი" (21.15), ჩემპიონთა ლიგა. მე-3 შესარჩევი რაუნდი (22.55). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (11.45, 22.00), კალათბურთი. „სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები" (17.30), „ბილიარდის მეფეები" (20.30). ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში (0.45). კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი. პირადი ფინალები (1.30). EUROSPORT. ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები (12.00, 17.30). ფეხბურთი. 17-წლიანთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი — ჩინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია (19.30), ჩოგბურთი. WTA. მე-3 დღე. პირდაპირი ტრანსლაცია (23.45), საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (1.45).

**14 აგვისტო, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „სპორტის სამყარო" (19.30). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (14.50), „ქართული ფეხბურთი" (20.00). ***იმედი.*** სპორტული პროგრამა „ესტაფეტა" (20.30). *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა. მე-3 შესარჩევი რაუნდი. (13.15, 17.00), გავიხსენოთ განვლილი სეზონი. ესპანეთის ჩემპიონატი. „ატლეტიკო" — „რეალ სოსიედადი" (15.15), იტალიის ჩემპიონატი „კიევო" — „ინტერი" (19.35), ინგლისის ჩემპიონატი. „არსენალი" — „ევერტონი" (23.35). „ფუტბოლ მუნდიალი" (18.45, 1.35). „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 99/00 სეზონი. ნახევარფინალი. „რეალი" — „ბავარია" (21.50), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (11.45, 22.00). კალათბურთი. „სეზონის საუკეთესო ტრანსლაცია". ნბა-ს ჩემპიონატი. ფინალური მატჩი (17.15). EUROSPORT. ფეხბურთი. 17-წლიანთა მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა — ავსტრალია (12.30), კოსტა რიკა — ნიგერია (14.30), კამერუნი — ბრაზილია (22.00), თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. გრან-პრი (16.30, 17.30), საცხენოსნო სპორტი. საჩვენებელი გამოსვლები (2.00), სუმო (3.00).



## კროსვორდი № 61

**თარაზულად:** 1. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 4. კიევის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, 8. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, 10. მოსკოვის შემდეგ მეორე ქალაქი, სადაც ერთდროულად ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, 11. საფრანგეთის საფეხბურთო გუნდი, 14. მოკრივე კასიუს... 15. ცნობილი ვეტერანი ძალოსნის ვლასოვის სახელი, 16. ქუთაისის ტორპედოს ვეტერანი ფეხბურთელი, 20. გამარჯვების ქალღმერთი, 21. ვეტერანი ქართველი ფალავანი, 25. ინდოელი მოჭადრაკე, დიდოსტატი, 26. წარსულში ცნობილი საბჭოთა ჟოკეი, 28. ქალაქი საქართველოში, სადაც 1991 წელს ჩატარდა წყალმოთხილამურეთა ევროპის პირველობა.

**შვეულად.** 1. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი, 2. დამწყები სპორტსმენი, 3. სპორტული გუნდის შეჯიბრებებში მონაწილეობა ერთ ან სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობით, 5. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 6. სწრაფი ჭადრაკი, 7. რეზინის ძირიანი ერთგვარი სპორტული ფეხსაცმელი, 9. ადრე რუსეთის პირველობაზე მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი, 12. ფეხბურთელ კოშტას სახელი, 13. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 17. საგანგებოდ დანიშნული ჯგუფი სპორტში, ხელოვნებაში, საუკეთესოთა გამოსავლენად, 18. ლიტვის საფეხბურთო კლუბი, 19. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 22. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, 23. ცნობილი ფეხბურთელი ლუიშ ..., 24. სახელგანთქმული ვეტერანი ინგლისელი მორბენალი, სებასტიან ... 27. ინგლისელი ფეხბურთელი, ლე...

**შეადგინა ნოდარ ჯაჯვაძემ**

### კროსვორდი №59-ის პასუხები:

**თარაზულად:** 3. მოსტოვოი, 6. „ოლიმპი", 9. კოლინა, 10. „შალკე", 11. „დინამო", 12. „ნანტი", 13. დერბი, 15. ძოფი, 16. „დინა", 17. მირნი, 18. „ელჩე", 19. კანი. 20. კარლოსი, 21. სიომა, 23. ძალა, 24. კარტოზია, 28. შმეიხელი, 29. ფიოლერი, 30. კორტი, 32. ინძაგი, 33. ალექსანდრია.

**შვეულად:** 1. „ლუვიე", 2. ბარეზი, 3. მალდინი, 4. ტომასონი, 5. ვერონი, 6. „ოსასუნა", 7. პლასენტე, 8. „პორტუ", 14. ბექჰემი, 16. „დალასი", 17. მენისკი, 19. კამორანეზი, 20. კოშტა, 21. „სელტიკი", 22. „დანდი", 23 ძამბროტა, 25. ზამერი, 26. მესხი, 27. ჩივაძე, 29. ფიფა, 31. ფრე.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლa8! (მუქარა 2. ლd5X) 1. ..... c6 2. ლb8X, 1. ..... კc6 (კf7) 2. ლh8X, 1. ..... ეc6 (ეc5) 2. c4X 1. ..... მf4 2. ე:g5X, 1. ..... ე:e4 2. ლ:e4X, 1. ..... უd4 2. cdX

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com